საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 1

კ ე რ ძ ო

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

1. **კერძო საჩივრის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ**
2. **ზემოდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე**
   - კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება
   - კერძო საჩივრის დასაშვებობა
3. **კანონიერ ძალაში შესული განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობა**
   - კერძო საჩივრის დასაშვებობა
   - კერძო საჩივრის შეტანის ვადა
   - ხარვეზის შევსება (შეუვსებლობა)
4. **კერძო საჩივარზე ხარვეზის შევსება (შეუვსებლობა)**
   - ხარვეზის შევსება
   - ხ ა რ ვ ე ზ ი ს შ ე უ ვ ს ე ბ ლ ობ ი ს გ ა მ ო კ ე რ ძ ო ს ა ჩ ი ვ რ ი ს გ ა ნ უ ხ ი ლ ვ ე ლ ზ დ დ ა ტ ო ვ ე ბ ა

1. კერძო საჩივრის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ

განჩინება

#ას-763-979 29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. პ-ვას მიმართ და მოითხოვა მოპასუხე ე. პ-ვას მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ბინიდან გამოსახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 26 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. მ-ძის სარჩელი ბინიდან ე. პ-ვასა და მასთან მცხოვრები პირების გამოსახლების თაობაზე დაკმაყოფილდა.

2005 წლის 12 ოქტომბერს ვ. და ნ. ღ-ურებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. განმცხადებლებმა მოითხოვეს სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერებაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით განცხადება 2005 წლის 26 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად, განისაზღვრა საქმის ზეპირი განხილვის დრო, ამასთან შეჩერდა 2005 წლის 14 სექტემბრის #01\05-04-1964 სააღსრულებო ფურცლის მოქმედება ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. მ-ძის წარმომადგენელმა შ. შ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 5 ივნისის განჩინებით გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინება 2005 წლის 14 ოქტომბრის #2\3188, 01\05-04-1964 სააღსრულებო ფურცლის მოქმედების ნაწილში და განცხადება, სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების შესახებ, განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ვ. ღ-ურისა და მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი ნ. ღ-ურის განცხადება აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ვ. და ნ. ღ-ურებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განჩინებით ვ. და ნ. ღ-ურების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ და ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით ა. მ-ძის წარმომადგენელ შ. შ-შვილის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ვ. ღ-ურმა და ნ. ღ-ურის კანონიერმა წარმომადგენელმა მ. ღ-ურმა. კერძო საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს 2005 წლის 26 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და 2005 წლის 14 სექტემბრის აღსრულებული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ვ. ღ-ურისა და ნ. ღ-ურის კანონიერ წარმომადგენელ მ. ღ-ურის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე, იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

კონკრეტულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორები არ არიან უფლებამოსილი პირები, რომლებსაც შეუძლიათ მოცემული განჩინება გაასაჩივრონ კერძო საჩივრით.

როგორც მოცემული საქმიდან ირკვევა, სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა არ ეხება კერძო საჩივრის ავტორს, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. მ-ძის წარმომადგენელ შ. შ-შვილის განცხადება

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განჩინება გამოტანილია ა. მ-ძის მიმართ. ვინაიდან გასაჩივრებული განჩინება არ არის გამოტანილი კერძო საჩივრის ავტორების წინააღმდეგ, მათ არა აქვთ უფლება, გაასაჩივრონ აღნიშნული განჩინება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ღ-ური და ნ. ღ-ურის კანონიერი წარმომადგენელი მ. ღ-ური არ არიან უფლებამოსილი პირები, გაასაჩივრონ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინება. აქედან გამომდინარე, მათი კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ღ-ურისა და ნ. ღ-ურის კანონიერ წარმომადგენელ მ. ღ-ურის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ზემოდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

ას-1029-287-07 16 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. ცისკაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ნ. ა-შვილისა და ა. ქ-შვილის მიმართ სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნით.

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ნ. ა-შვილს და ა. ქ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 1050 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა ლ. მ-შვილმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება მოპასუხეებისათვის 1230 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. მ-შვილის სარჩელი პროცენტის გადახდევინების ნაწილში და მოპასუხეებს ნ. ა-შვილსა და ზ. ქ-შვილს ლ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ პროცენტის სახით 446,25 აშშ დოლარის გადახდა ლარებში.

ლ. მ-შვილმა საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 30 მაისის განჩინებით ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ნ. ა-შვილმა 2007 წლის 16 მარტს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით ნ. ა-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა ნ. ა-შვილის საკუთრებაში არსებულ #64 ბინას, მდებარეს ქ. თბილისში, ... კორპუს 19-ში.

ლ. მ-შვილმა საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებაზე, რაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის გაჩინებით არ დაკმაყოფილდა და საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის საფუძველზე საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ლ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ლ. მ-შვილის საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტი იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებები აღსრულებულია, კერძოდ დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით მოპასუხე ნ. ა-შვილზე დაკისრებული 1496.25 აშშ დოლარი და 846 ლარი მის მიერ 2007 წლის 15 მარტს შეტანილ იქნა ნოტარიუს ი. ფ-ავას დეპოზიტზე, რაც დასტურდება ნოტარიუს ი. ფ-ავას მიერ 2007 წლის 15 მარტს შედგენილი სანოტარო აქტით.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლი და მიუთითა, რომ ნ. ა-შვილის მიერ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის დეპონირებით, მისი ვალდებულება კრედიტორის - ლ. მ-შვილის მიმართ შესრულებულია და აღარ არსებობს აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განუმარტა მხარეს, რომ ის გარემოება, რომ სასამართლოს წარმოებაშია ლ. მ-შვილის სარჩელი ნ. ა-შვილის მიმართ, არ წარმოადგენს მოცემულ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველს და მიუთითებს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს განცხადებით მის მიერ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ლ. მ-შვილმა სააპელაციო პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე შეიტანა საჩივარი, მოითხოვა ამ განჩინების გაუქმება და ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნება იმავე პალატის სხვა შემადგენლობისათვის. მისი საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განიხილა მისი მონაწილეობის გარეშე, სასამართლოს შეტყობინება არ გაუგზავნია. სააპელაციო სასამართლომ ლ. მ-შვილის საჩივარი განიხილა მოსამართლე ნ. გ-ძის მონაწილეობით, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობდა მასსა და ა-შვილის დავის განხილვაში, რის გამოც მოსამართლე ვერ იქნებოდა ობიექტური. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნ. ა-შვილსა და ა. ქ-შვილს აღსრულებული სასამართლოს გადაწყვეტილების გარდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კიდევ დაკისრებული აქვთ ფულადი ვალდებულების შესრულება ლ. მ-შვილის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ლ. მ-შვილის საჩივრის მოტივების შემოწმების, საქმის მასალების განხილვის შედეგად თვლის, რომ ლ. მ-შვილის საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით ნ. ა-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა ნ. ა-შვილის საკუთრებაში არსებულ #64 ბინას მდებარე ქ. თბილისში, ... კორპუს 19-ში.

ლ. მ-შვილმა საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებაზე, რაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის გაჩინებით არ დაკმაყოფილდა და საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის საფუძველზე საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ლ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილით კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მესამე ნაწილში იმპერატიულადაა მითითებული, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ საჩივრდება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში საჩივარი შეტანილია სააპელაციო პალატის იმ განჩინებაზე, რომელიც ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის შედეგადაა მიღებული.

ზემოაღნიშნულის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი დაუშვებელია და იგი უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1], 419-ე, 420-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ლ. მ-შვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

ას-239-500-08 24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. და ლ. ხ-შვილების წარმომადგენელ თ. ჯ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მარტის განჩინებით თ. და ლ. ხ-შვილების წარმომადგენელ თ. ჯ-ძის განცხადება შეგებებული სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ შეგებებული სარჩელის აღძვრამდე დარჩა განუხილველად იმ საფუძვლით, რომ მხარეთა მიერ ხარვეზი სრულად არ იქნა შევსებული. აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა თ. და ლ. ხ-შვილების წარმომადგენელმა თ. ჯ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის განჩინებით საჩივარი განსახილველად გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით თ. და ლ. ხ-შვილების საჩივარი დაკმაყოფილდა და განცხადება შეგებებული სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით თ. და ლ. ხ-შვილებს უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ საფუძვლით, რომ განცხადება დაუსაბუთებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თვალსაზრისით და უცნობია შეგებებულ სარჩელში დასაყენებელი მოთხოვნის შინაარსი.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა მოპასუხეთა წარმომადგენელმა თ. ჯ-ძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით თ. და ლ. ხ-შვილების საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. და ლ. ხ-შვილების წარმომადგენელმა თ.ჯ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. და ლ. ხ-შვილების წარმომადგენელ თ. ჯ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

ამავე კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. მოცემულ შემხთვევაში განჩინება ხ-შვილების წარმომადგენელ თ. ჯ-ძის საჩივრის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე გამოიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის თაობაზე გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრება დაუშვებელია, რის გამოც თ. და ლ. ხ-შვილების კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

თ. და ლ. ხ-შვილების წარმომადგენელ თ. ჯ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

ას-330-585-08 21 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. გ-ურის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებაზე.

გამოარკვია:

2006 წლის 22 ივნისს ო. ა-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ნ. გ-ურის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ნ. გ-ურს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიყენებული მატერიალური ზარალის - 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში და 2007 წლის 14 აგვისტოს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2008 წლის 15 თებერვალს ნ. გ-ურმა საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-ურმა, ასევე, კერძო საჩივრის ავტორმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო პალატას და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნ. გ-ურს უარი ეთქვა თბილისის საქალაქო სასამართ-

ლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაზე.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა ნ. გ-ურმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. გ-ურის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინების უცვლელად დატოვების ნაწილში, უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. მოცემულ შემთხვევაში განჩინება ნ. გ-ურის კერძო საჩივრის თაობაზე გამოიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. გ-ურის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინების უცვლელად დატოვების ნაწილში, დაუშვებელია და იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. გ-ურის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინების უცვლელად დატოვების ნაწილში, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-362-614-08 29 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ღ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ა. ღ-შვილმა, მოპასუხედ დაასახელა სს «თელასი» და მოითხოვა მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაუ-რება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განჩინებით სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ღ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ღ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, ა. ღ-შვილი კერძო საჩივრით ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განჩინებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება არ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ - საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და იგი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის დასშვებობა

განჩინება

#ას-265-523-08 2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ხირსამ» განცხადებით მიმართა სასამართლოს სს «ხირსას» მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით სს «ხირსას» გაკოტრების საქმის წარმოება დამთავრდა გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტით.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექციის) უფროსმა პ. ბ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ). მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი კერძო საჩივარი განუხილველად. მათ სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინება ჩაჰბარდათ არა 2007 წლის 27 დეკემბერს, არამედ 28 დეკემბერს. კერძო საჩივარი შეიტანეს კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ 12 დღის ვადაში - 2008 წლის 9 იანვარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდ-გომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით შეწყდა გაკოტრების საქმის წარმოება, რაზეც კერძო საჩივარი შეიტანა შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგდასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგდასახადო ინსპექციამ).

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოო განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ზემდგომი სასამართლო წყვეტს კერძო საჩივრის დასაშვებობისა და დასაბუთე-

ბულობის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის საბოლოო, რომელიც არ საჩივრდება.

«გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ» კანონის 31-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კანონით დასაშვებია გაკოტრების სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება, მაშინ მის მიმართ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, აგრეთვე, შეიძლება გასაჩივრდეს, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის საფუძვლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. კერძო საჩივარში მითითებულ უნდა იქნეს საკასაციო საჩივრის საფუძვლების არსებობის თაობაზე და ამასთან, გასაჩივ-რებულ განჩინებაშიც უნდა არსებობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი, კერძოდ, სასამართლოს განჩინება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ნორმას, რომელიც სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ან არ გამოიყენა ისეთი ნორმა, რაც უნდა გამოეყენებინა და სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

მოცემულ შემთხვევაში არც გასაჩივრებული განჩინება და არც კერძო საჩივარი არ შეიცავს საკასაციო საჩივრის საფუძვლებს. სასამართლოს გამოყენებული აქვს ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, კერძოდ, დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივარი შეტანილ იქნა დაგვიანებით, რის გამოც კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექცია მიუთითებს, რომ მას არ დაურღვევია გასაჩივრების ვადა, რაც არასწორია. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყანა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი.

საკასაციო სასამართლოს აზრით, მოცემული დავა ეხება გაკოტრების საქმის გახსნას, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

ა-271-ა-8-08 9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. ღ-შვილმა მოპასუხეების - შპს „საქართველოს რკინიგზის» გენერალური დირექტორისა და ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოს უფროს მ. ტ-ძის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

სასარჩელო განცხადებაში თ. ღ-შვილი მიუთითებს, რომ იგი მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის» ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოში დამხმარე საამქროს მოძრავი შემადგენლობის რემონტის ზეინკლად 2006 წლის 11 თებერვლიდან, მისი დანიშვნის საფუძველი იყო შპს „საქართველოს რკინიგზის» დირექტორთა საბჭოს დადგენილება და გენერალური დირექტორის 2006 წლის 28 თებერვლის ბრძანება.

შპს „საქართველოს რკინიგზის» ხაშურის ვაგონების სარემონტო საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსის 2006 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით თ. ღ-შვილი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, რაც მოსარჩელეს მიაჩნია უკანონოდ.

მოსარჩელემ მოითხოვა შპს „საქართველოს რკინიგზის» ხაშურის ვაგონების სარემონტო საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსის - მ. ტ-ძის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ #217 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო. მოსარჩელე თ. ღ-შვილის სარჩელს შპს „საქართველოს რკინიგზისა» და ხაშურის ვაგონების სარემონტო საექსპლოატაციო სამმართველოს მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ უარი ეთქვა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო. თ. ღ-შვილს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ღ-შვილმა საჩივრით, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილება და კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება თ. ღ-შვილისათვის სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და 2006 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ღ-შვილმა სააპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა მათი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატის 2007 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი თ. ღ-შვილი, რომელსაც ეცნობა სხდომის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოწინააღმდეგე მხარე შპს „საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელმა ნ. მ-შვილმა იშუამდგომლა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ღ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა თ. ღ-შვილმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ღ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით თ. ღ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინება.

თ. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით განმცხადებელს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 17 მარტს თ. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საკასაციო პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ მას არასწორად დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო პალატის 2008 წლის 21 მარტის განჩინებით თ. ღ-შვილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და განმცხადებელს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო ვადა და დაევალა მას განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. მითითებული განჩინებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება არ მიიღებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით თ. ღ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ღ-შვილმა. მან მიუთითა, რომ მოსამართლემ მისი განცხადება განიხილა ერთპიროვნულად, რისი უფლებაც მას კანონით არა აქვს, კერძოდ, უზენაეს სასამართლოში სამი მოსამართლე კოლეგიურად იხილავს საქმეს. გარდა ამისა, მოსამრთლემ იგი არ გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, როცა ის მიეკუთვნება სოციალურად დაუცველელ პირთა კატეგორიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ღ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხლველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით თ. ღ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ღ-შვილმა და მოითხოვა ანიშნული განჩინების გაუქმება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თ. ღ-შვილმა კერძო საჩივარი შეიტანა უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც არ საჩივრდება. უზენაესი სასამართლო არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო, სადაც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს და განჩინებებს, იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება და იგი კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მისი გასაჩივრება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, თ. ღ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ღ-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-629-653-08 23 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. პ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს რომელშიც, მიუთითა, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე რ. პ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, საქმის საბოლოო დამთავრებამდე, ვინაიდან მის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ იყო, რ. პ-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარჩელზე გადაწყვეტილების მიღება.

რ. პ-ძის სარჩელის სასამართლოს წარმოებაში არსებობის ფაქტი არ დადასტურდა და განმცხადებელს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XII თავში დადგენილი წესების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებით უარი ეთქვა რ. პ-ძეს განცხადების წარმოებაში მიღებაზე, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. პ-ძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით უარი ეთქვა რ. პ-ძეს, დაკარგული საქმის აღდგენის შესახებ განცხადების მიღებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. პ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა რ. პ-ძის კერძო საჩივარი, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება, რაც გაასაჩივრა რ. პ-ძემ.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. პ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით ცალსახად დადგენილ შემთხვევებში

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ რ. პ-ძემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის განჩინება, რომლითაც მისი კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ, რ. პ-ძის მიერ გასაჩივრებულია განჩინება, რომლის გასაჩივრება არც კერძო და არც საკასაციო საჩივრით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. პ-ძის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 400-ე, 410-ე 420-ე, 401-ე მუხლებით 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

რ. პ-ძის საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის განჩინებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-826-1041-08 19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ს» კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

ვ. ვ-იამ 2008 წლის 17 ივნისს განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე ამავე თარიღით გაცემულ #2/1469 სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა, კერძოდ: კრედიტორად მისი აწგარდაცვლილი მეუღლის - ა. ვ-იას ნაცვლად თავად ვ. ვ-იას, ხოლო მოვალედ - შპს «საქენერგო-2000»-ის ქუთაისის ფილიალის ნაცვლად - სს «ენერგია XXI-ის» მითითება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის განჩინებით ვ. ვ-იას განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს «საქენერგო-2000-ის» უფლებამონაცვლედ სს «ენერგია XX-ს» ცნობის მოთხოვნაზე განმცხადებელს უარი ეთქვა, ხოლო კრედიტორ ა. ვ-იას უფლებამონაცვლედ იგი ცნობილ იქნა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი კრედიტორ ვ. ვ-იას სასარგებლოდ.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. ვ-იამ, რომელმაც შპს «საქენერგო-2000-ის» ქუთაისის ფილიალის უფლებამონაცვლედ სს «ენერგია XXI-ს» ცნობაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ამ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განჩინებით ვ. ვ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა: ვ. ვ-იას განცხადება დაკმაყოფილდა და გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის განჩინება შპს «საქენერგო-2000-ის»

უფლებამონაცვლედ სს «ენერგია XXI-ს» ცნობაზე უარის თქმის ნაწილში; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შპს «საქენერგო-2000-ის» უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს «ენერგია XXI»; განიმარტა, რომ განჩინება არ საჩივრდებოდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს «ენერგია XXI-მ,» რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ენერგია XXI-ს» კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა ვ. ვ-იას კერძო საჩივარი, წარმოადგენს კერძო საჩივრის თაობაზე ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არ ექვემდებარება გასაჩივრებას და არის კერძო საჩივრის თაობაზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება.

ამდენად, ვინაიდან ზემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის თაობაზე გამოტანილი განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, შესაბამისად, მის თაობაზე შეტანილი კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს «ენერგია XXI»-ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-794-1009-08 29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს გარდაცვლილ ლ. პ-იას წარმომადგენელ კ. ჭ-იას მიმართ, რომლითაც მოითხოვა ცილისწამების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მაისის განჩინებით მ. მ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინებით მ. მ-ძის კერძო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მაისის განჩინებაზე დარჩა განუხილველი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ძემ.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. მ-ძემ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინება, რომლითაც მისი კერძო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მაისის განჩინებაზე დარჩა განუხილველად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. ამდენად, მ. მ-ძის მიერ კერძო

საჩივრით გასაჩივრებულია განჩინება, რომლის გასაჩივრება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დასართავად არასწორად გადმოგზავნილ იქნა მ. მ-ძის განცხადება, ვინაიდან იგი შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინების ბათილად ცნობას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას, შესაბამისად, აღნიშნული განცხადება რეაგირებისათვის უნდა დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. მ-ძის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 400-ე, 410-ე 420-ე, 401-ე მუხლებით 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. მ-ძის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-957-1159-08 14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. თ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს ტ. მ-შვილის მიმართ გადახდის ბრძანების მიღების შესახებ.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ იგი ტ. მ-შვილს აწვდიდა ხორბალს, რომლის ღირებულების ანაზღაურება ხდებოდა მისი რეალიზაციის შემდეგ. მან მოპასუხეს მიაწოდა სამი სატვირთო ავტო-მანქანით დატვირთული ხორბალი, რის საფასურიც ტ. მ-შვილს არ გადაუხდია. განმცხადებელმა მოითხოვა ტ. მ-შვილს დაეკისროს 8000 აშშ დოლარის გადახდა.

ტ. მ-შვილმა შესაგებელი (პროტესტი) შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა საქმის სასარჩელო წესით განხილვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით თ. თ-ძის შუამდგომლობა მოპასუხის ადვოკატ რ. ფ-ძის აცილების შესახებ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. ზ-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით ვ. ზ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში ვ. ზ-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ. მან მიუთითა, რომ ვ. თ-ძემ სარჩელი წარადგინა სასამართლოში მოპასუხეების - ტ. მ-შვილისა და ნ. მ-ძის მიმართ. მოცემულ საქმეში იგი იყო თ. თ-ძის წარმომადგენელი, რომელიც ამჟამად არის მოპასუხე - ვ. ზ-ძის წარმომადგენელი. ვინაიდან, იგი თავდაპირველად იყო მოსარჩელის წარმომადგენელი, სასამართლომ მიიღო განჩინება მისი აცილების შესახებ. აღნიშნულ განჩინებაზე მან შეიტანა კერძო საჩივარი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება. მისი აზრით, გასაჩივრებული განჩინება არის უკანონო და უნდა გაუქმდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ვ. ზ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით თ. თ-ძის შუამდგომლობა მოპასუხის ადვოკატ რ. ფ-ძის აცილების შესახებ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. ზ-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით ვ. ზ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში ვ. ზ-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოო განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ზემდგომი სასამართლო წყვეტს კერძო საჩივრის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის საბოლოო, რომელიც არ საჩივრდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ზ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. კანონიერ ძალაში შესული განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობა

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-924-1230-07 28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 21 აგვისტოს ე. წ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ბორჯომის რაიონულ სასამართლოს კ. ხ-ევის მიმართ. მოსარჩელემ ეზოს გამიჯვნა და მიტაცებულ ეზოს ნაწილში აშენებული სათავსოს მოშლა მოითხოვა. მოპასუხე კ. ხ-ევმა კი შეგებებული სარჩელით სამეზობლო საზღვრის აღდგენა და უკანონო მშენებლობის აღება მოითხოვა.

აღნიშნული სარჩელი და შეგებებული სარჩელი არაერთგზის განიხილა პირვლი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ.

საბოლოოდ, ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განჩინებით სამოქალაქო საქმე ე. წ-შვილის სარჩელის გამო მოპასუხე კ. ხ-ევის მიმართ ეზოს გამიჯვნის თაობაზე აცილებულ იქნა ბორჯომის რაიონული სასამართლოსაგან და სხვა სასამართლოზე დაქვემდებარების საკითხის გადაწყვეტის მიზნით ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს გადაეცა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საქმე ადიგენის რაიონის სასამართლოს გადაეგზავნა.

ადიგენის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ე. წ-შვილის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხე კ. ხ-ევს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

ე. წ-შვილმა აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა და განესაზღვრა 10 დღიანი ვადა მის შესავსებად. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, რის

გამოც სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ე. წ-შვილის სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დატოვა.

ე. წ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინება საქართველოს უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრით გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ხარვეზის განჩინება 21 სექტემბერს ჩაიბარა, ხოლო სახელმწიფო ბაჟი 24 სექტემბერს გადაიხადა. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კი სააპელაციო სასამართლოში იმ საფუძვლით არ წარადგინა, რომ აღნიშნული მოთხოვნის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი 2007 წლის 17 სექტემბრის ხარვეზის განჩინებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინების გაუქმებას და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ე. წ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა დაუბრუნდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სააკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ ხარვეზის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა განსაზღვროს ის საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულების შედეგადაც ხარვეზი შევსებულად ჩაითვლება. როგორც გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილიდან ირკვევა, მხარეს განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაევალა.

საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ მხარემ აღნიშნული განჩინება 21 სექტემბერს ჩაიბარა, ხოლო სახ. ბაჟი 24 სექტემბერს გადაიხადა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან ხარვეზის განჩინება არ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოედგინა, ამიტომ უსაფუძვლოა იმის მითითება, რომ მხარემ სასამართლოს მოთხოვნა დროულად არ შეასრულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად სააპელაციო სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 419-ე, 420-ე მუხლებითა და 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ე. წ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინება და საქმე ე. წ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე პალატას;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-908-1215-07 6 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონულ სასამართლოს 2007 წლის 13 იანვარს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ქ-ძემ და მოითხოვა საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი სამანქანე გზის აღდგენა. მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი ცხოვრობს დ. ჩაქვში, ... ქუჩის #10-ში. 1977 წლიდან სახლს აქვს ერთადერთი მისასვლელი სამანქანე გზა, რომლითაც წლების განმავლობაში მისი ოჯახი სარგებლობს, აღნიშნული სამანქანე გზა მესამე თვეა, თვითნებურად მიითვისეს მეზობლად მცხოვრებმა ა. და ი. ბ-ძეებმა. მოსარჩელემ მოითხოვა საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი სამანქანე გზის აღდგენა, ჭიშკრის მოშლა და მოწმეების დაკითხვა.

მოსამზადებელ სხდომაზე სათანადო მოსარჩელის სახით საქმეში ჩაერთო ა. ქ-ძე. ხოლო მოპასუხეთა შუამდგომლობით საქმიდან ამოირიცხა ი. ბ-ძე, როგორც არასათანადო მხარე.

მოსარჩელე ა. ქ-ძემ წარმოადგინა დაზუსტებული სარჩელი და დამატებით განმარტა, რომ 1966-1971 წლებში ჩამოსახლდა შუახევის რაიონიდან, დასახლდა დ. ჩაქვში, ... ქუჩის #10-ში და დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მოპასუხის ა. ბ-ძის წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოთხოვნილი ტერიტორია არის მოპასუხე ა. ბ-ძის საკუთრება და აუცილებელი გზით სარგებლობისათვის გააჩნიათ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რომლის გადახდაზეც მოსარჩელე მხარე უარს აცხადებს.

ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ა. ქ-ძის სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხე ა. ბ-ძეს დაევალა მოსარჩელე ა. ქ-ძის საცხოვრებელი სახლისათვის აუცილებელი საჯარო გზასთან დამაკავშირებელი სამანქანე მისასვლელი გზის აღდგენა, ასევე, სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ძის წარმომადგენლებმა რ. ბ-ძემ და თ. ჭ-ძემ.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი დაუშველობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე ა. ბ-ძის წარმომადგენლებმა რ. ბ-ძემ და თ. ჭ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში. მათ აღნიშნეს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად მათი სააპელაციო საჩივარი. მათ დროულად გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, გადაიხადეს დადგენილ ვადაში - 2007 წლის 9 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. ბ-აძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი მიიჩნია ხარვეზიანად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. მას ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა მხარისათვის განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

მოცემულ შემთხვევაში, ა. ბ-ძეს არ ჩაჰბარებია პირადად განჩინება მისი არყოფნის გამო, მაგრამ ა. ბ-ძის წარმომადგენლებს - რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძეს განჩინების ასლი ჩაჰბარდათ 2007 წლის 2 ოქტომ-ბერს. აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოედგინა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, ე.ი. 2007 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით. მართალია, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარზე მითითებულია, რომ აპელანტმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა

2007 წლის 9 ოქტომბერს, მაგრამ აღნიშნული ქვითარი სასამართლოში წარმოადგინა 2007 წლის 10 ოქტომბერს, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა. ბ-ძეს სასამართლოში უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საკასაციო პალატა ამასთან განმარტავს, რომ როცა არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო განჩინებით მხარეს აძლევს ვადას ხარვეზის შესავსებად, სადაც განუმარტავს იმ შედეგს, რაც შეიძლება მოჰყვეს ხარვეზის შეუვსებლობას, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ მხარემ სასამართლოში წარმოადგინოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არ არის მითითებული, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი უნდა იქნეს სასამართლოში წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება აღნიშნული ქვითრის წარმოუდგენლობა სასამართლოში ჩაითვალოს დარღვევად და ვადის გადაცილებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ვინაიდან ა. ბ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა ბანკში დროულად, სააპელაციო სასამართლოს განუხილველად დატოვების განჩინება უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-163-432-08 25 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: დარღვეული საავტორო უფლების დაცვა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-ვამ და ი. დ-ოვ-დ-ძემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს საავტორო უფლების აღიარება; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა; ზიანის ანაზღაურება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად; პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა, მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება, მოპასუხისათვის სასამართლო ხარჯების - წარმომადგენელისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის დაკისრება. მოსარჩელეებმა თავიანთი მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ 2000 წლიდან ყოველ წელიწადს, 2003 წლის ჩათვლით, ატარებდნენ ღვინისა და ვაზის ფესტივალს, დევიზით „ვაზის საგალობელი». ამ ფესტივალის და მისი სხვადასხვა ნაწილების გამოყოფილი პროექტები დაპატენტებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში». მოპასუხეები 2004 წელსაც აპირებდნენ ფესტივალის ჩატარებას; 2004 წლის მარტში მათ მიმართეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს, რათა დახმარებოდა ფინანსურად და ფესტივალის ჩატარებაში მათი პარტნიორი გამხდარიყო, მაგრამ მინისტრმა დახმარების ნაცვლად, მიითვისა ლ. მ-ვას პროექტი და დაარღვია მისი საავტორო უფლებები. სამინისტრომ

აღნიშნული ფესტივალის ჩასატარებლად მიიღო 35000 ამერიკული დოლარი. მოსარჩელემ მოპასუხეს წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა და მოითხოვა ფესტივალის ჩასატარებლად 60000 აშშ დოლარი, რაზედაც უარი განუცხადეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოპასუხე ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის დღის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა ასევე ი. დ-ოვ-დ-ძე, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა სასამართლო სხდომის დრო. სასამართლო კოლეგიამ ი. დ-ოვ-დ-ძის სარჩელი განუხილველად დატოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის საფუძველზე.

სასამართლო კოლეგიის სხდომაზე ლ. მ-ვას წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. მ-ვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაეკისრა აღიაროს ლ. მ-ვას საავტორო უფლება ნაწარმოებზე „ვაზის საგალობელი».

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის საოქმო განჩინებით ი. დ-ოვ-დ-ძის სარჩელი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე 2007 წლის 22 მაისს ი. დ-ოვ-დ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად დატოვა მისი სარჩელი განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ი. დ-ოვ-დ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

დადგენილია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის საოქმო განჩინების გამოცხადებას, რომლითაც განუხილველად დარჩა ი. დ-ოვ-დ-ძის სააპელაციო საჩივრი ესწრებოდა მისი წარმომადგენელი ე. ჯ-ძე. ი. დ-ოვ-დ-ძემ კი კერძო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 22 მაისს, ანუ 3 წლის გასვლის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარი შეტანილია კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. დ-ოვ-დ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-338-591-08 17 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გაუქმება, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა

აწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-ვას წარმომადგენელმა ვ. კ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ძის, ნოტარიუს ც. კ-ძისა და საჯარო რეესტრის რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა სამკვიდროს მისაღებად ვადის გაგრძელება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გაუქმება, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. ს-ვას წარმომადგენელ ვ. კ-ძის სასარჩელო განცხადება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა რ. ბ-ოვმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებით ნ. ს-ვას წარმომადგენლის - ვ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალქო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამარლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. კ-ძის წარმომადგენელმა რ. ბ-ოვმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. კ-ძის წარმომადგენელ რ. ბ-ოვის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს, კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა 12 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საფოსტო შეტყობინების თანახმად, ვ. კ-ძეს გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 21 მარტს, ხოლო მის წარმომადგენელ რ. ბ-ოვს - 2008 წლის 24 მარტს, რ. ბ-ოვის მიერ მოცემული განჩინება გასაჩივრებულია 2008 წლის 7 აპრილს. მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადა, ვინაიდან საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა აითვალოს 2008 წლის 21 მარტიდან, იმ დროიდან, როდესაც გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა ვ. კ-ძეს. ამდენად კარძო საჩივრის ავტორს საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 3 მარტის ჩათვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. კ-ძის წარმომადგენელ რ. ბ-ოვის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 416-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. კ-ძის წარმომადგენელ რ. ბ-ოვის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-181-448-08 4 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: სამსახურებრივი მოავლეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არსებული საპენსიო დავალიანების და ყოველთვიური სარჩოს გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოსარჩელე ჟ. გ-შვილმა მოპასუხე სს «ხალიბის» მიმართ საპენსიო დავალიანების გადახდევინების შესახებ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1985 წლიდან მოსარჩელე მუშაობდა რუსთავის ქარხანა „ავტოგაზაგრეგატში» მემანქანის თანამდებობაზე. დღეის მდგომარეობით აღნიშნული საწარმოს სამართალმემკვიდრე არის სს „ხალიბი».

მოსარჩელის განმარტებით, 1989 წლის 22 მარტს მითითებულ საწარმოში მოხდა უბედური შემთხვევა, რის შედეგადაც მან მიიღო საწარმოო ტრავმა. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა შესაბამისი აქტი, რომელიც გაცემულია 1989 წლის 23 მარტს. ამ აქტის საფუძველზე მას დაუდგინდა I ჯგუფის ინვალიდობა მუდმივად და შესაბამისად დაენიშნა პენსია საწარმოო ტრამვით მიყენებული ინვალიდობის გამო.

მოსარჩელის მითითებით, 1995 წლის 11 ივლისს მან გაიარა გადამოწმება რუსთავის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროში, სადაც მას კვლავ დაუდგინდა I ჯგუფის ინვალიდობა საწარმოო ტრავმით და პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის 100%-ით უვადოთ. 1993 წლამდე პენსიას შეფერხების გარეშე იღებდა, დაახლოებით 2002 წელს გაცემულ იქნა მის სახელზე 400 ლარი, მას შემდეგ კი პენსია აღარ მიუღია.

2005 წლის 7 ივნისს განცხადებით მიმართა სს „ხალიბის» დირექტორს - ა. მ-ძეს, რომელსაც განცხადებაზე წერილობითი პასუხი არ გაუცია, თუმცა სიტყვიერად უარი განაცხადა პენსიის გადახ-დაზე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი იმყოფება უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში, ვინაიდან არის მწოლიარე ავადმყოფი და მის საარსებო წყაროს წარმოადგენს მისი პენსია.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი გაანგარიშებით დავალიანება სარჩელის აღძვრის დროისათვის შეადგენს დაახლოებით 7000 ლარს.

საქმის განხილვის მიმდინარეობისას, მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სს „ხალიბს» დაეკისროს ყოველთვიური სარჩოს გაცემაც მის სასარგებლოდ იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომისუნარის დაკარგვა.

მოპასუხე სს „ხალიბის» დირექტორმა წარმოდგენილი სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოთხოვნა საპენსიო დავალიანების გადახდევინების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან აღნიშნული გადასახადი განეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა კატეგორიას და მასზე ვრცელდება კანონით დადგენილი 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

მოპასუხე ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას, რომ მას მხოლოდ 400 ლარი აქვს აღებული საპენსიო დავალიანების სახით, რადგან მიმდინარე და წინა წლებით გაცემულმა თანხამ მის სახელზე შეადგინა 2120 ლარი. აღნიშნული თანხა გადაეცემოდა მოსარჩელის შვილს გ. გ-შვილს, რაც დაფიქსირებულია მისი ხელმოწერებით შესაბამის გასავლის ორდერებზე.

რაც შეეხება მოთხოვნას სარჩოს დაწესების შესახებ, მოპასუხემ განმარტა, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2007 წლის 1 მარტის შემდგომ არ შეიძლება დაწესდეს ახალი ჯანმრთელო-ბისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში».

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ჟ. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სს «ხალიბს» დაეკისრა არსებული საპენსიო დავალიანების - 4880 ლა-რის და მომავალში ყოველთვიურად სარჩოს - 62 ლარის გადახდა ჟ. გ-შვილის სასარგებლოდ მდგომარეობის შეცვლამდე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს «ხალიბის» დირექტორმა ა. მ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით სს «ხალიბს» სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განესაზღვრა 10-დღიანი ვადა. ამავე სასმართლოს 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით კი სს «ხალიბის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს «ხალიბის» დირექტორმა ა. მ-ძემ. მან აღნიშნა, რომ მას ხარვეზის განჩინება არ ჩაჰბარებია და მისთვის უნცობი იყო ხარვეზის არსებობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. თ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ჩაჰბარდა სს «ხალიბს» 2008 წლის 30 იანვარს. მას კერძო საჩივრის შეტანა შეეძლო 2008 წლის 11 თებერვლის ჩათვლით, მან კი კერძო საჩივარი შეიტანა სამი დღის დაგვანიებით, 2008 წლის 15 თებერვალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარი შეტანილია კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ხალიბის» დირექტორ ა. მ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-985-1286-07 4 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ს. ხ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ს. ხ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 დეკემბრის განჩინებით ს. ხ-შვილს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარ-დათ 2008 წლის 9 იანვარს, მაგრამ საფოსტო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტიდან არ ირკვეოდა ხელის მომწერის ვინაობა, რის გამოც 2008 წლის 24 იანვარს ხელახლა იქნა გაგზავნილი ხარვეზის განჩინება კერძო საჩივრის ავტორისათვის, მაგრამ არც მეორედ დაბრუნებულ საფოსტო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტიდან არ ირკვეოდა მიმღების ვინაობა. აქედან

გამომდინარე, საკასაციო პალატამ 2008 წლის 14 თებერვალს მიმართა შპს «საქართველოს ფოსტას», რათა დადგენილიყო აღნიშნული საფოსტო პაკეტის მიმღების ზუსტი ვინაობა. შპს «საქართველოს ფოსტის» პასუხიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საფოსტო გზავნილი ჩაჰბარდა 2008 წლის 30 იანვარს ს. ხ-შვილის მეუღლეს ნ. ბ-შვილს, შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 4 თებერვალს. აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ს. ხ-შვილის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-191-456-08 7 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს 2000 წლის 22 თებერვალს სარჩელით მიმართა თ. თ-შვილმა მ. მ-ძის წინააღმდეგ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1974 წელს მ. მ-ძემ მოსარჩელეს გაუფორმა სესხის ხელწერილი 13000 რუსულ მანეთზე, რითაც ფაქტობრივად შეინიღბა საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგება. მოსარჩელეს მ. მ-ძის საცხოვრებელ სახლში დაკავებული ქონდა სამი ოთახი, სადაც იგი თავის ოჯახის წევრებთან ერთად იყო რეგისტრირებული. მოსარჩელემ მოითხოვა თავის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ოთახების მესაკუთრედ ცნობა ან მოპასუხისათვის თანხის გადახდის დავალდებულება.

მოპასუხე მ. მ-ძემ 2000 წლის 6 მარტს აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლის თანახმად, მოითხოვა მოსარჩელე თ.თ-შვილისათვის ქირის დაკისრება და მისი გამოსახლება თანხმლებ პირებთან ერთად კუთვნილი საცხოვრებელი სახლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით თ. თ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოსარჩელე თ. თ-შვილი ცნობილ იქნა გ. მ-ძის საკუთრებაში არსებულ, თბილისში ... პირველი გასასვლელი #18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ორი ოთახის ფართობით 24,75-24,75 კვ.მ-ის და 6,4 კვ.მ-ის ოთახის მესაკუთრედ; თ. თ-შვილს უარი ეთქვა მოპასუხისათვის სესხის ხელწერილით გათვალისწინებული თანხის და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის დაკისრებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. მ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ძის უფლებამონაცლე გ. მ-ძემ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ასევე თ. თ-შვილმა. 2007 წლის 26 ივლისს გ. მ-ძემ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით აპელანტ თ. თ-შვილს მიეცა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინებით კი თ. თ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე თ. თ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი. მან მიუთითა, რომ 2007 წლის 9 ივლისის განჩინება ხარვეზის გამოსწორების შესახებ მას ჩაჰბარდა გვიან - 2007 წლის 20 ნოემბერს და 2 დღეში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, აქედან გამომდინარე, თვლის, რომ მას ვადა არ დაურღვევია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. თ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ რამდენჯერმე გაეგზავნა თ. თ-შვილს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოების საუბნო სამსახურს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარება. 2008 წლის 8 თებერვალს აღნიშნული ორგანოს მეშვეობით თ. თ-შვილის ოჯახის წევრს - ზ. თ-შვილს თ. თ-შვილისათვის გადასაცემად ჩაჰბარდა ხარვეზის განჩინება. თ. თ-შვილს კერძო საჩივრის შეტანა შეეძლო 2008 წლის 20 თებერვლის ჩათვლით, მან კი კერძო საჩივარი შეიტანა ერთი დღის დაგვიანებით, 2008 წლის 21 თებერვალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარი შეტანილია კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. თ-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

ას-217-478-08 14 მარტი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა რ. დ-შვილის 2007 წლის 27 დეკემბრისა და 2008 წლის 7 თებერვლის კერძო საჩივრების დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ნოემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ყვარლის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ლ. დ-შვილმა, მოპასუხედ დაასახელა გ. ღ-შვილი და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ყვარლის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. დ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2004 წლის 3 აგვისტოს რ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა ზემოაღნიშნულ სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2002 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებულ იქნა ის, რომ მოსარჩელისათვის, ანუ მის დისათვის - ლ. დ-შვილისათვის ნასყიდობის საფასური არ იქნა გადახდილი, რაც მისთვის ცნობილი გახდა 2004 წლის 1 იანვარს ლ. დ-შვილის გარდაცვალების შემდეგ.

ყვარლის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება საქმის წარმოების განახლების თაობაზე და 2004 წლის 30 აგვისტოს განჩინებით, რ. დ-შვილის განცხადება ამავე სასამართლოს 2002 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, ხოლო ამავე სასა-მართლოს 2004 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით რ. დ-შვილს უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე და უკან დაუბრუნდა იგი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. დ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ნოემბრის განჩინებით რ. დ-შვილის კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართ-ლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 31 მარტის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 ოქტომბრის განჩინება.

2005 წლის 31 მარტს რ. დ-შვილმა კვლავ მიმართა კერძო საჩივრით ყვარლის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გარდაცვლილ ლ. დ-შვილის უფლებამონაცვლედ ცნობა, ამავე სასამართლოს 2002 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 მაისის განჩინებით კერძო საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინებით რ. დ-შვილის კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველად.

აღნიშნული განჩინებაზე 2007 წლის 27 დეკემბერს კერძო საჩივრი შეიტანა რ. დ-შვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება იმ მოტივით, რომ მის მიერ კანონით დადგენილ ვადაში, ანუ 12-დღიან ვადაში იქნა შეტანილი კერძო საჩივარი, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული.

2008 წლის 7 თებერვალს რ. დ-შვილმა დამატებით შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინების, ყვარლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

აღნიშნული კერძო საჩივრები საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ 2007 წლის 27 დეკემბრისა და 2008 წლის 7 თებერვლის კერძო საჩივრები განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, რ. დ-შვილი კერძო საჩივრებით ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინებით რ. დ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება არ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ - საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2007 წლის 27 დეკემბრისა და 2008 წლის 7 თებერვლის კერძო საჩივრები დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და იგი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. დ-შვილის 2007 წლის 27 დეკემბრისა და 2008 წლის 7 თებერვლის კერძო საჩივრები, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-320-575-08 17 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ლანჩხუთის რ-ნში სოფ. ... მდებარე, გ. გ-ძის საკუთრებაში არსებული სახლიდან გამოსახლებულ იქნა ზ. ბ-ძე. ზ. ბ-ძეს დაუბრუნდა გ. გ-ძისათვის მიცემული 1000 აშშ დოლარი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით ზ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

ზ. ბ-ძის წარმომადგენელმა ნ. ა-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით ზ. ბ-ძის წარმომადგენელ - ნ. ა-შვილის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ბ-ძის წარმომადგენელმა ნ. ა-შვილმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ბ-ძის წარმომადგენელ ნ. ა-შვილის საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა 12 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საფოსტო შეტყობინების თანახმად, ზ. ბ-ძეს გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 28 თებერვალს, ხოლო მის წარმომადგენელ ნ. ა-შვილს 2008 წლის 5 მარტს, ნ. ა-შვილის მიერ მოცემული განჩინება გასაჩივრებულია 2008 წლის 13 მარტს. მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადა, ვინაიდან საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა აითვალოს 2008 წლის 28 თებერვლიდან, იმ დროიდან, როდესაც გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა ზ. ბ-ძეს, ამდენად, კერძო საჩივრის ავტორს საჩივრის შეტანის ვადა ქონდა 11 მარტის ჩათვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ბ-ძის წარმომადგენელ ნ. ა-შვილის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 416-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ბ-ძის წარმომადგენელ ნ. ა-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-528-761-08 27 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ა-ანმა სარჩელით მიმართა სასამართლოს რ. ბ-ანის მიმართ უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის დაბრუნების თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი ცხოვრობს ახალქალაქის რ-ნის სოფ. ..., სადაც მას აქვს საკუთარი საცხოვრებელი სახლი 0,265 ჰა მიწის ნაკვეთით; 1984 წელს მეზობელმა რ. ბ-ანმა უკანონოდ მიიტაცა მისი მიწის ნაკვეთიდან 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი და შემოღობა.

მოსარჩელემ მოითხოვა უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება და ღობის მოშლა.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-ანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატაის 2003 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა-ანის სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - დაკმაყოფილდა ვ. ა-ანის სარჩელი და დაუბრუნდა მას ბ-ანის მიერ უკანონოდ მიტაცებული ახალქალაქის რაიონის სოფელ გომში მდებარე 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი.

2008 წლის 27 თებერვალს რ. ბ-ანის წარმომადგენელმა ე. ა-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის საოქმო განჩინებით რ. ბ-ანის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველი განმცხადებლის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ბ-ანის წარმომადგენელმა ე. ა-ძემ, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ რ. ბ-ანის წარმომადგენელ ე. ა-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. ამ ნორმიდან გამომდინარე, განჩინების გადაცემის მომენტად, საიდანაც იწყება მისი გასაჩივრების ვადის ათვლა, ითვლება ამ განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, რაც უნდა დადასტურდეს სათანადო ხელწერილით ან კიდევ ამ განჩინების მხარისათვის გადაგზავნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის საოქმო განჩინება, რომლითაც განუხილველად დარჩა რ. ბ-ანის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, საქმეში მითითებულ მისამართზე რ. ბ-ანს გაეგზავნა 2008 წლის 22 მაისს. განჩინების ასლი რ. ბ-ანს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 24 მაისს; აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ბ-ანს კერძო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 5 ივნისის ჩათვლით. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კერძო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2008 წლის 10 ივნისს, ანუ კერძო საჩივრის შეტანის 12 - დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია კერძო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული 12-დღიანი ვადა და რ. ა-ანის წარმომადგენლის ე. ა-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 284-ე, 416-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ბ-ანის წარმომადგენლის - ე. ა-ძის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის საოქმო განჩინებაზე, დარჩეს განუხილველი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-270-528-08 2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ც. შ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-შვილ-ფ-შვილის წინააღმდეგ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას გურჯაანის რ-ნის სოფ. ... ჰყავდა და ლ. ლ-შვილი, რომელიც გარდაიცვალა 2005 წლის 15 მაისს. იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. ლ-შვილთან, რომელიც გარდაიცვალა 1994 წელს, მის დას და სიძეს თანასაკუთრებაში ჰქონდათ სოფ. ... საცხოვრებელი სახლი, ასევე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 1 ჰა ვენახი, ნაკვეთი «სანგალი» იჯარით - 10 წლის ვადით. ლ-შვილების კომლის უკანასკნელი რეგისტრირებული წევრი იყო მისი და ლ. ლ-შვილი, რომელსაც ანდერძი არ დაუტოვებია.

დის დაკრძალვის ხარჯები გაიღო მან და ასევე დაეუფლა მის სამკვიდრო ქონებას. მ. ლ-შვილმა უკანონოდ სასამართლოს შეცდომაში შეყვანით მიიღო მემკვიდრეობა. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ლ-შვილს აღუდგა სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადა და იგი ცნობილ იქნა თავისი ძმის - ლ. ლ-შვილის სახელზე რიცხული ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ.

ც. შ-შვილმა მოითხოვა თავისი დის - ლ. ლ-შვილის სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ც. შ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. ლ-შვილ-ფ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 თებერვლის განჩინებით მ. ლ-შვილ-ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ლ-შვილ-ფ-შვილმა. მან მიუთითა, რომ უსახსრობის გამო ვერ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და მოითხოვა განუხილველად დატოვების განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. ლ-შვილ-ფ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 თებერვლის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მ. ლ-შვილ-ფ-შვილს ჩაჰბარდა 2007 წლის 6 მარტს. მან კერძო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 5 მარტს. განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2007 წლის 2 მარტს, ე.ი. კერძო საჩივარი შეტანილია 1 წლის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, თუ მხარე კანონით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), იგი კარგავს ამ უფლებას, ანუ ეს უფლება ქარწყლდება და გადაწყვეტილება (განჩინება) შედის კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მ. ლ-შვილ-ფ-შვილმა კერძო საჩივრი კანონით დადგენილ ვადაში არ შეიტანა, მისი კერძო საჩივარი დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით მ. ლ-შვილ-ფ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ვინაიდან მ. ლ-შვილ-ფ-შვილმა კერძო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, მისი კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად და მ. ლ-შვილ-ფ-შვილს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი უნდა დაუბრუნდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი შეტანილია კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12 -დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ლ-შვილ-ფ-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
2. მ. ლ-შვილ-ფ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-569-799-08 14 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა გ. მ-ოვის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1996 წლის 11 ოქტომბერს ლ. ს-შვილმა რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. მ-ოვის და ზ. ჭ-შვილის მიმართ და მოითხოვა, რომ იგი ცნობილი ყოფილიყო ქ. სიღნაღში, ... ქ. #8-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის, აგრეთვე, ქ. სიღნაღში ე.წ. «ორმილაზე», ... ქუჩაზე მდებარე პრივატიზებული ბინის, რომლებიც ირიცხება მის გარდაცვლილ არარეგისტრირებულ მეუღლე ი. მ-ოვზე, მესაკუთრედ 1/2-ზე იმ საფუძვლით, რომ ... ქუჩაზე მდებარე ბინა აშენებულია მის და ი. მ-ოვის ერთად ცხოვრების პერიოდში, ერთობლივი სახსრებით, რის შემდეგ ფორმალურად გაფორმდა ი. მ-ოვის ფსიქიურად დაავადებული შვილის - ნ. მ-ოვის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო ი. მ-ოვმა. რაც შეეხება ... ქუჩაზე მდებარე ბინას,

მოსარჩელის განმარტებით, ამ ბინის პრივატიზებისას იგი ჩაწერილი იყო ამ ბინაში, რის გამოც მას ეკუთვნის ამ ბინის ნახევარი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ლ. ს-შვილს ქ. სიღნაღში, ... ქ. #8-ში მდებარე სამსართულიან ბინიდან და ე.წ. «ორმილაზე» მდებარე ოთხოთახიანი ბინიდან გამოეყო იდეალური 1/2 საკუთრებაში, ხოლო ამ ბინების მეორე ნახევარი დარჩათ მოპასუხეებს: ი. მ-ოვის შვილს - გ. მ-ოვს და რეგისტრირებულ მეუღლეს - ზ. ჭ-შვილს.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. მ-ოვმა და ზ. ჭ-შვილმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 6 მაისის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

2000 წლის 23 ივნისს ქალაქ სიღნაღის საკრებულომ მიმართა სასამართლოს განცხადებით გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ იგი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში მხარედ.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 აგვისტოს განჩინებით ქ. სიღნაღის საკრებულოს განცხადება დაკმაყოფილდა. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, საქმის განხილვა განახლდა და მხარედ საქმეში ჩაბმულ იქნა ქ. სიღნაღის საკრებულო.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მას გამოეყო საკუთრებაში სიღნაღში, ... ქ. #1-ში, ე.წ. «ორმილაზე» მდებარე ბინიდან 1/2 წილი, ხოლო მოთხოვნა ... ქუჩაზე მდებარე ბინიდან 1/2-ის საკუთრებაში გამოყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. მ-ოვის შეგებებული სარჩელი ნივთის დაბრუნების თაობაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ს-შვილმა, გ. მ-ოვმა და ზ. ჭ-შვილმა, ამასთან, ლ. ს-შვილმა მოითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 აგვისტოს განჩინების გაუქმება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 17 მარტის განჩინებით გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 აგვისტოს განჩინება გურჯაანის რაიონული სამართლოს 1997 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ და ყვარლის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება. ქ. სიღნაღის საკრებულოს განცხადება გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. სიღნაღის საკრებულომ, გ. მ-ოვმა და ზ. ჭ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 17 მარტის განჩინება.

საქმეში ცალკე ტომად წარმოდგენილი იყო იმავე მხარეთა შორის არსებული დავა, კერძოდ, ლ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში გ. მ-ოვისა და ზ. ჭ-შვილის მიმართ ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - გ. მ-ოვი და ზ. ჭ-შვილი, ყველა იქ მყოფთან ერთად გამოსახლებულ იქნენ ქ. სიღნაღში, ... ქ. #8-ში მდებარე ბინის მეორე სართულის საცხოვრებელი ოთახებიდან.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 მაისის განჩინება და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2008 წლის 11 მარტს გ. მ-ოვმა განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის განჩინებით გ. მ-ოვის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლბის გამო დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. მ-ოვმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების დაკმაყოფილებით საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. მ-ოვს გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაბარდა 2008 წლის 14 ივნისს. აქედან გამომდინარე განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2008 წლის 26 ივნისს, ხოლო გ. მ-ოვმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მიმდინარე წლის 27 ივნისს, რითაც დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, ანუ გაშვებულ იქნა გასაჩივრების 12-დღიანი საპროცესო ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და განუხილველად დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. მ-ოვის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

ას-673-894-08 25 ივლისი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 23 დეკემბერს დუშეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. ბ-ძემ და მოითხოვა საერთო შიდა გზიდან ნ. ჭ-შვილის კუთვნილი ვაგონის გატანა.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით თ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა დუშეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - აეკრძალა ნ. ჭ-შვილს ხელშეშლა თ. ბ-ძისათვის საერთო შიდა გზით სარგებლობაში იმგვარად, რომ ნ. ჭ-შვილს დაევალა ვაგონის აღება განთავსებული საერთო სარგებლობის შიდა გზაზე დ. ჟინვალში თ. ბ-ძის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სასაზღვრო მიჯნასა და კ. ქ-შვილის კუთვნილ შენობას შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჭ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განჩინებით ნ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის საფუძვლით დარჩა განუხილველი.

თ. ბ-ძის წარმომადგენელმა დ. ქ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოვალის - ნ. ჭ-შვილის ნაცვლად, თ. ბ-ძეს, როგორც კრედიტორს მისცემოდა უფლება თავად შეასრულოს სააღსრულებო ფურცელი #2ბ/1685-06-ით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, აეღო ვაგონი, დ. ჟინვალში მისივე კუთვნილი მიწის ნაკვეთის სასაზღვრო მიჯნისა და კ. ქ-შვილის კუთვნილ შენობას შორის არსებული საერთო სარგებლობის შიდა გზიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით თ. ბ-ძის წარმომადგენლის - დ. ქ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, თ. ბ-ძეს ნება დაერთო შეესრულებინა 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-შვილისათვის დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ, აეღო ვაგონი დ. ჟინვალში თ. ბ-ძის კუთვნილ შენობასა და კ. ქ-შვილის კუთვნილი შენობას შორის არსებული საერთო სარგებლობის შიდა გზიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ნ. ჭ-შვილმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჭ-შვილის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით გათვალისწინებულ 12 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრება კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი განჩინების გადაცემის მომერნტად ითვლება განჩინების ალის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ. საქმის მასალებში წარმოდგენილია გზავნილი, რომლითაც დგინდება, რომ გასაჩივრებული განჩინება ნ. ჭ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 11 ივნისს, შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2008 წლის 23 ივნისის ჩათვლით. ნ. ჭ-შვილის მიერ კერძო საჩივარი შეტანილია 2008 წლის 24 ივნისს, ვადის დარღვევით, რაც კერძო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევისა და მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ჭ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-661-883-08 31 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. ქუთაისის მერის - ნ. შ-იას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

რ. ა-ძემ, ზ. გ-ანმა, მ. ჭ-ძემ და სხვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიის მიმართ სახელფასო დავალიანების გადახდევინების თაობაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის მერიამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და, ბოლოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განჩინებით ქ. ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაზე, ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მთავრობისთვის დ. ა-ძის სასარგებლოდ 940,39 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ქუთაისის მერიამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. ქუთაისის მერიის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მითითებული ნორმის საფუძველზე, განჩინების გადაცემის მომენტად, საიდანაც იწყება მისი გასაჩივრების ვადის ათვლა, ითვლება ამ განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან კიდევ ამ განჩინების მხარისათვის გადაგზავნით სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორს გასაჩივრებული განჩინება ჩაბარდა 2008 წლის 24 ივნისს, ხოლო კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში 2008 წლის 8 ივლისს, ე.ი. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების 12 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვიანიდან კერძო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იყო 2008 წლის 7 ივლისი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე, 419-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. ქუთაისის მერის - ნ. შ-იას კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დარჩეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-692-913-08 31 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა რ. ჭ-ძემ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის განაცდური სახელფასო დავალიანების დაკისრება 680 ლარის ოდენობით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელემ განმარტავა, რომ 35 წლის განმავლობაში მუშაობდა ბათუმის აკვარიუმში სხვადასხვა სამუშაო ადგილებზე, ბოლოს კი ასრულებდა ტექნიკური მუშაკის სამუშაოს. 2006 წლის 6 სექტემბერს კი მოპასუხე ორგანიზაციის ბუღალტერმა, რომელიც აკვარიუმის ლიკვიდაციის შემდეგ წარმოადგენს მის

სამართალმემკვიდრეს, გადასცა განთავისუფლების ბრძანება, რომლის თანახმადაც იგი სამუშაოდან გათავისუფლდა 2006 წლის 3 იანვრიდან. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2006 წლის 3 იანვრიდან 2006 წლის 6 სექტემბრამდეც ასრულებდა მისთვის დაკისრებულ სამუშაოს, რაც დაკავშირებული იყო აკვარიუმის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირებასთან. მიუხედავად ამისა, მას 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე არ მიუღია არანაირი ანაზღაურება, რომელიც ეძლეოდა გამომუშავებით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალი გააჩნდა აკვარიუმს, რაც ზამთარში შეადგენდა 40 ლარს, ხოლო ზაფხულში კი 160 ლარამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეზე იმ თანხის დაკისრებას, რაც მას არ აუღია იმ პერიოდის განმავლობაში, როცა იგი ფაქტობრივად ასრულებდა სამუშაოს, რაც, მისი მტკიცებით შეადგენს 680 ლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც 2007 წლის 9 მარტის განჩინებით სასამართლოებს შორის სარჩელის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 ივლისის განჩინებით კი საქმე განსჯადობით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად დაუბრუნდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით რ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალს რ. ჭ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების გადახდა 680 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის მიერ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის წარმოების გადახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელმა შ. ი-ძემ. კერძო საჩივრის ავტორის განმერტებით, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივრის გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულება არ შეადგენს 1000 ლარს, სააპელაციო სასამართლოში მაინც უნდა განხილულიყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის კანცელარიას ჩაჰბარდა 2008 წლის 30 ივნისს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელმა შ. ი-ძემ კერძო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2008 წლის 15 ივლისს ანუ კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დარღვევით. მას კერძო საჩივრის შეტანა შეეძლო 2008 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია კერძო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული 12-დღიანი ვადა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელ შ. ი-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელ შ. ი-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობა

განჩინება

#ას-890-1101-08 13 სექტემბერი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. გ-შვილის კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

2008 წლის 23 იანვარს საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. გ-შვილმა მოპასუხე ნ. გ-ლის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბინაში წყლის ჩაშვების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 1940 ლარის ოდენობით.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2008 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით მ. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. გ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული და უცვლელად დარჩა ჭიათურის მაგისტრატი სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინება მ. გ-შვილს 2008 წლის 22 ივლისს ჩაჰბარდა.

2008 წლის 5 სექტემბერს მ. გ-შვილმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა კერძო საჩივარი განცხადების ფორმით, რომლითაც ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესზე გამოუცხა-დებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის განხილვა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაზე მ. გ-შვილს წარმოდგენილი აქვს შინაარსობრივად კერძო საჩივარი განცხადების ფორმით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება თავისი არსით მიჩნეულ უნდა იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაზე შემოტანილ კერძო საჩივრად და განხილულ იქნეს კერძო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ნორმების შესაბამისად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მ. გ-შვილს 2008 წლის 22 ივლისს ჩაჰბარდა, აღნიშნული განჩინების გზავნილი ასევე 22 ივლისს ჩაჰბარდა მ. გ-შვილის წარმომადგენელ ჟ. შ-შვილს, შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი საპროცესო ვადის დინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის საფუძველზე დაიწყო მომდევნო დღეს - 2008 წლის 23 ივლისს და დასრულდა 2008 წლის 4 აგვისტოს, რომელიც იყო სამუშაო დღე - ორშაბათი, ხოლო კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიმართა 2008 წლის 5 სექტემბერს, ანუ კერძო საჩივრის წარდგენის 12-დღიანი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. გ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-შვილის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-709-929-08 17 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის საოქმო განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

2006 წლის 14 ნოემბერს თ. კ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ვ. კ-ძის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 იანვრის გადაყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე ვ. კ-ძის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. რუსთავში, ... ქ. #8/4-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა და იგი გადაეცა მოსარჩელე თ. კ-ძეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს ვ. კ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის საოქმო განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა¹» პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება, დავის საგნის არ არსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. კ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვ. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორი ესწრებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის სასამართლო სხდომას, სადაც გამოცხადდა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და მხარეს განემარტა, რომ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შესაძლებელია მისი გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში, ხოლო ვ. კ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 15 ივლისს, ე.ი. გასაჩივრების 12-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

ამასთან, გასაჩივრებული საოქმო განჩინების ასლი ვ. კ-ძემ ხელზე ჩაიბარა 2008 წლის 3 ივნისს, ხოლო კერძო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 15 ივლისს. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორს განჩინების გადაცემის მომენტიდანაც აქვს დარღვეული კანონით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. კ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-758-974-08 18 სექტემბერი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. ბ-შვილის კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 4 თებერვალს ბორჯომის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. მ-ძემ მოპასუხე მ. ბ-შვილის, მესამე პირის - მ. ყ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბორჯომის რ-ნის დ. ბაკურიანში, ... ქ. #41-ში არსებული მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლიდან მოპასუხის გამოსახლება.

2005 წლის 22 თებერვალს მ. ბ-შვილმა შეგებებული სარჩელი წარადგინა ნ. მ-ძის სარჩელზე და დ. ადიგენის სანოტარო კანტორის ნოტარიუს დ. კ-ძის მიერ დამოწმებული, 2004 წლის 18 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ნ. მ-ძის სახელზე რიცხულ დ. ბაკურიანში, ... ქ. #41-ში მდებარე ბინაზე ჩანაწერის გაუქმება და საჯარო რეესტრში სადავო ბინისა და 240 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მ. ბ-შვილის სახელზე აღრიცხვა მოითხოვა.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მ. ბ-შვილს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო ნ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბორჯომის რ-ნის დ. ბაკურიანში, ... ქ. #41-ში მდებარე ბინა გამოთხოვილ იქნა მ. ბ-შვილის მფლობელობიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა მ. ბ-შვილმა, რომელმაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ოქტომბრის საოქმო განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 2006 წლის 21 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაინიშნა სააპელაციო საჩივრის არსებითი განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ბორჯომის რაიონული სასამართ-ლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მ. ბ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი მ. ყ-შვილსა და ნ. მ-ძეს შორის 2004 წლის 18 ნოემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ბინაზე, მდებარე ბორჯომის რ-ნის დ. ბაკურიანში, ... ქ. #41-ში და აღნიშნული ბინა საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში მ. ბ-შვილის სახელზე აღირიცხა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2008 წლის 15 თებერვალს ნ. მ-ძემ და მ. ყ-შვილმა (წარმომადგენელი ო. კ-შვილი) განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, ახლად აღმოჩენილი გარემოებათა გამო, გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით მ. ყ-შვილისა და ნ. მ-ძის (გარიგებითი წარმომადგენელი ო. კ-შვილი) განცხადება დაკმაყოფილდა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა; მხარეებს განემარტათ, რომ შეეძლოთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს დაევალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინების ასლის მ. ბ-შვილისათვის გადაცემა შემდეგ მისამართზე: თბილისი, ... ქ. #23, II სადარბაზო, I სართული, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღეში; ამავე განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს 2008 წლის 24 ივლისის #27/14/10/11-4016 წერილის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მითითებული გზავნილი მ. ბ-შვილს 2008 წლის 19 ივლისს პირადად ჩაჰბარდა.

2008 წლის 1 აგვისტოს მ. ბ-შვილმა სასამართლოში წარადგინა კერძო საჩივარი საკასაციო საჩივრის ფორმით, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებაზე მ. ბ-შვილს წარმოდგენილი აქვს შინაარსობრივად კერძო საჩივარი საკასაციო საჩივრის ფორმით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჩივარი თავისი არსით მიჩნეულ უნდა იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებაზე შემოტანილ კერძო საჩივრად და განხილულ იქნეს კერძო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ნორმების შესაბამისად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მ. ბ-შვილს 2008 წლის 19 ივლისს ჩაჰბარდა, შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი საპროცესო ვადის დინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის საფუძველზე დაიწყო მომდევნო დღეს - 2008 წლის 20 ივლისს და დასრულდა 2008 წლის 31 ივლისს, რომელიც იყო სამუშაო დღე - ხუთშაბათი, ხოლო კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიმართა 2008 წლის 1 აგვისტოს, ანუ კერძო საჩივრის წარდგენის 12-დღიანი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ბ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-782-997-08 29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ იგი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ბრძოლის მონაწილე. მისი სრული მონაცემებია: ნ. გ-ძე. უფლების დამდგენ #15644 საბუთში სამხედრო ნაწილის მეთაურის #54 ბრძანებაში, რომელიც გაცემულია 1993 წლის 2 ივლისს ქ. სოხუმში, რიგითი #35 - პ. გ-ძის სახელზე დაშვებულია შეცდომა სახელის ნ. ნაცვლად დაფიქსირებულია პ. აღნიშნული ბრძანების უსწორობა განმცხადებელს გარკვეულ პრობლემებს უქმნის თავდაცვის სამინისტროში.

2008 წლის 26 მარტს ნ. გ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ #15644 უფლების დამდგენ სახელში სამხედ-რო ნაწილის მეთაურის ბრძანება #54, გაცემული 1993 წლის 2 ივლისს ქ.სოხუმში, რიგით #35 - პ. გ-ძის სახელზე, ეკუთვნის ნ. გ-ძეს, როგორც ეს მითითებულია პირადობის, დაბადების მოწმობებსა და სხვა პირად საბუთებში.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ #15644 საბუთში სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანება #54, გაცემული 1993 წლის 2 ივლისს ქ.სოხუმში, რიგითი #35 - პ. გ-ძის სახელზე, ეკუთვნის ნ. გ-ძეს.

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის საოქმო განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთათვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის დღის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვ-ნათა დაცვით.

აღნიშნულ საოქმო განჩინებაზე ნ. გ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ მას სასამართლო უწყება სხდომის დღის შესახებ არ ჩაჰბარებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. გ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული საოქმო განჩინების ასლი ნ. გ-ძეს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 9 აგვისტოს, მან კი კერძო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 26 აგვისტოს, მითი-თებული ნორმით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, რაც კერძო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი შეტანილია კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12 -დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. გ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის საოქმო განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის დასაშვებობა;
კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-837-1052-08 10 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:
რ. ა-ანმა სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს «ორბი 2005-ისა» და ამხანაგობა «მარჯანიშვილი 10+-ის» მიმართ და მოითხოვა გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანით, ამხანაგობაში მისი წილის გაზრდა, ნაცვლად 32,2 კვ.მ-ისა 65 კვ.მ-ის მითითებით.
ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ა-ანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-ანმა.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აგვისტოს განჩინებით რ. ა-ანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.
აღნიშნულ განჩინებაზე რ. ა-ანმა კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ მას სააპელაციო პალატის განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ არ ჩაჰბარებია.

სამოტივაციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ რ. ა-ანის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინების ასლი რ. ა-ანს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 7 აგვისტოს, აღნიშნულ განჩინებაზე მან შეიტანა კერძო საჩივარი, რომელიც, თანდართულ კონვერტზე დასმული საფოსტო განყოფილების შტამპის თანახმად, ფოსტაში ჩააბარა 2008 წლის 22 აგვისტოს, მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, რაც კერძო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის საფუძველია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი შეტანილია კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ა-ანის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აგვისტოს განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-881-1093-08 10 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ბ. ნ-ვას კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე სს «პროკრედიტ ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს სევგია ნ-ვას, ბ. ნ-ვას და ნ. კ-ოვს სოლიდარულად დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 6163,95 აშშ დოლარის გადახდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ნ-ვამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით ბ. ნ-ვას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ნ-ვამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბ. ნ-ვას გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 4 აგვისტოს. აქედან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2008 წლის 18 აგვისტოს, ხოლო მან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, რითაც დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, ანუ გაშვებულ იქნა გასაჩივრების 12 დღიანი საპროცესო ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და იგი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. ნ-ვას კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობა

განჩინება

#ას-702-922-08 17 ოქტომბერი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ქ-ძის კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის საოქმო განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ივნისის საოქმო განჩინებით მხარეთა გამოუცხადებლობის გამო ა. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი (საზიარო უფლების გაუქმებისა და არყის სახდელის მიკუთვნების ნაწილში) დარჩა განუხილველი; განიმარტა, რომ საოქმო განჩინება საჩივრდებოდა კერძო საჩივრით.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმში დაშვებული უსწორობა შესწორდა იმგვარად, რომ მხარეთა გამოცხადების შესახებ ინფორმაციის ნაწილში ნაცვლად მითითებისა: «პროცესზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდა: აპელანტი - ა. ქ-ძე, წარმომადგენელი - ა. ბ-ული, მოწინააღმდეგე მხარე - მ. ქ-ძე,» მიეთითა: «სხდომაზე მოწვეულ პირთაგან არ გამოცხადდა: აპელანტი - ა. ქ-ძე, წარმომადგენელი - ა. ბ-ული, მოწინააღმდეგე მხარე - მ. ქ-ძე;» განიმარტა, რომ განჩინება საჩივრდებოდა კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ქ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა იმ მოტივით, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება არ გამომდინარეობდა ფაქტობრივი გარემოებებიდან, ვინაიდან სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებულია, რომ მისი წარმომადგენელი - ა. ბ-ული სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ა. ქ-ძეს კერძო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 7 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ა. ქ-ძის წარმომადგენელმა, ა. ბ-ულმა, რომელმაც ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის რამდენიმე დღით გაგრძელება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული განცხადებისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ულის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს და ა. ქ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინების ასლი საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა როგორც კერძო საჩივრის ავტორს - ა. ქ-ძეს, ისე მის წარმომადგენელს - ა. ბ-ულს. ა. ბ-ულს მითითებული განჩინების გზავნილი ჩაჰბარდა 2008 წლის 26 სექტემბერს, ხოლო ა. ქ-ძეს - 2008 წლის 6 ოქტომბერს.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ადვოკატ ა. ბ-ულს ა. ქ-ძის მიერ მინიჭებული აქვს როგორც სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივრების წარდგენის, ისე სახელმწიფო ბაჟის გადახდის უფლებამოსილება, რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ბ-ულისათვის საფოსტო გზავნილის ჩაბარება წარმოადგენს მხარისათვის ჩაბარებას, რის გამოც ა. ქ-ძის კერძო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დანიშნული 7-დღიანი საპროცესო ვადის დინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის შესაბამისად, დაიწყო განჩინების გზავნილის ადვოკატ ა. ბ-ულისათვის ჩაბარების მომდევნო დღეს - 2008 წლის 27 სექტემბერს და დასრულდა 2008 წლის 3 ოქტომბერს, რომელიც იყო სამუშაო დღე - პარასკევი. კერძო საჩივრის ავტორს ან მის წარმომადგენელს სწორედ მითითებულ დროის შუალედში უნდა შეევსოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა

პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი ან წარმოედგინათ შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ. ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორს ან მის წარმომადგენელს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია, ხოლო შუამდგომლობა ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის გაგრძელების თაობაზე ადვოკატმა ა. ბ-ულმა მხოლოდ 2008 წლის 7 ოქტომბერს, ანუ ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ წარმოადგინა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ქ-ძის კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 420-ე მუხლის თანახმად.

ამასთან, წარმოდგენილი შუამდგომლობა სრულიად დაუსაბუთებელია ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის საპატიო გარემოების დასაბუთების თვალსაზრისით, რის გამოც ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ მოცემული შუამდგომლობის ხარვეზის შევსების ვადაში წარმოდგენის შემთხვევაშიც იგი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ქ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის საოქმო განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-907-1115-08 20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. მ-ძის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

2007 წლის 13 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. მ-ძემ მოპასუხეების: ც. დ-ძისა და შ. ტ-იას მიმართ ქმედების განხორციელების, ზიანის ანაზღაურებისა და ქონების გადაცემის დავალდებულების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-ძეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 5 დღის ვადა.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით ნ. მ-ძის განცხადება წარმოებაში არ იქნა მიღებული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. მ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით ნ. მ-ძეს განესაზღვრა 7 დღის ვადა კერძო საჩივარზე 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით ნ. მ-ძის კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით ნ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინება დარჩა უცვლელი.

2008 წლის 17 ივლისს ნ. მ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და კერძო საჩივრის ხარვეზის შევსების მიზნით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებით ნ. მ-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინების მიღებაზე ნ. მ-ძემ 2008 წლის 31 ივლისს უარი განაცხადა, რის შესახებაც სასამართლოს კურიერის მიერ შედგა შესაბამისი აქტი.

2008 წლის 19 აგვისტოს ნ. მ-ძემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა კერძო საჩივარი ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინება, როგორც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ განჩინება, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, ხოლო ამავე კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე და ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინების ასლის ჩაბარებაზე ნ. მ-ძემ 2008 წლის 31 ივლისს, 12:45 საათზე, უარი განაცხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. მ-ძისათვის კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი საპროცესო ვადის დინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის საფუძველზე, დაიწყო ადრესატის მიერ განჩინების ასლის ჩაბარებაზე უარის თქმის მომდევნო დღეს - 2008 წლის 1 აგვისტოს და დასრულდა 2008 წლის 12 აგვისტოს, რომელიც იყო სამუშაო დღე - სამშაბათი, ხოლო კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიმართა 2008 წლის 19 აგვისტოს, ანუ კერძო საჩივრის წარდგენის 12-დღიანი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემ-დეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. მ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-925-1132-08 30 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ქუთწყალკანალმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ს-ძის მიმართ დავალიანების - 962 ლარის გადახდევინების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 962 ლარის გადახდა, რაც ზ. ს-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინებით ზ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების ასლი მხარეს გაეგზავნა საქმეში არსებულ მისამართზე და ადრესატისათვის გადასაცემად ჩაბარდა მის შვილიშვილ ლ. ს-ძეს 2008 წლის 16 სექტემბერს. ამავე წლის 3 ოქტომბერს ზ. ს-ძემ კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ს-ძის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. დასახელებული ნორმის მიხედვით, კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია სასამართლო განჩინების გამოცხადებიდან ან იმ მომენტიდან 12 დღის ვადაში, როდესაც მხარეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა გასაჩივრებული განჩინების ასლი. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების ან აღდგენის შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინების ასლი ზ. ს-ძესთან ერთად მცხოვრებ პირს, მის შვილიშვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 16 სექტემბერს, რაც სასამართლო გზავნილის მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი). კერძო საჩივარი ზ.ს-ძემ სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 3 ოქტომბერს. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა კანონით დადგენილი 12-დღიანი ვადა დაარღვია და მისი კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ს-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-919-1126-08 3 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. კ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის საოქმო განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

2004 წლის 4 აგვისტოს თ. კ-ძემ, ლ. შ-შვილმა და სხვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს თ. კ-ძემ, ლ. შ-შვილმა და სხვებმა, რომლებმაც მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით თ. კ-ძისა და სხვათა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოცემული დავა არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» შუამდგომლობა თ. კ-ძის სააპელაციო საჩივრის წარმოებით შეჩერების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. კ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ საუბიექტებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. კ-ძის წარმომადგენელ გ. მ-იას სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2007 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო კერძო საჩივარი თ. კ-ძემ შეიტანა 2007 წლის 19 ნოემბერს, ე.ი. გასაჩივრების 12-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. კ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-865-1079-08 5 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა პ. კ-ვიას კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით პ. კ-ვიას დაევალა კერძო საჩივრის ხარვეზის შევსება, კერძოდ: აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი კერძო საჩივრის წარმოდგენა, სათანადო ასლების დართვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით პ. კ-ვიას გაუგრძელდა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით და დაევალა მითითებულ საპროცესო ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი სათანადო რეკვიზიტების შესაბამისად შედგენილი ქვითრისა (საგადასახადო დავალების) და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი კერძო საჩივრის წარმოდგენა, სათანადო ასლების დართვით.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დადგენილ საპროცესო ვადაში პ. კ-ვიამ წარმოადგინა 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (საგადასახადო დავალება), ხოლო დანარჩენ ნაწილში ხარვეზი არ შეუვსია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს მითითებულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საკასაციო სასამართლო მიიჩევს, რომ ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორმა დანიშნულ საპროცესო ვადაში ვერ უზრუნველყო კერძო საჩივარზე დანიშნული ხარვეზის სრულად შევსება, კერძოდ, გადაიხადა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი კერძო საჩივარი არ წარმოუდგენია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის, 399-ე მუხლისა და 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად პ. კ-ვიას უნდა დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. პ. კ-ვიას კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. პ. კ-ვიას დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-974-1175-08 17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით მ. კ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მან სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ გამოასწორა.

2007 წლის 24 დეკემბერს მ.კ-ძემ კვლავ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განჩინებით სარჩელს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10 დღის ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 179-ე მუხლების, 178-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ», «გ», «დ», «ე», «ვ» და «ზ» ქვეპუნქტების დაცვით შედგენილი სარჩელის წარსადგენად. აღნიშნული განჩინების ასლი მოსარჩელეს გაეგზავნა და საერთო და მკაცრი სასჯელაღსრულების დაწესებულების #6 საპყრობილეს ჩაბარდა 2008 წლის 22 იანვარს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. კ-ძეს სასამართლოსათვის, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, არ მიუმართავს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით მ. კ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მან სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ გამოასწორა. მითითებული განჩინების ასლი მ. კ-ძეს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 4 თებერვალს.

2008 წლის 8 აგვისტოს მ. კ-ძემ სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრისა და 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებების გაუქმება. ამავე სააპელაციო საჩივარში მ. კ-ძემ აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ. ჭ-იასა და განყოფილების უფროს გ. ჯ-იას მიმართ მორალური ზიანის - თითოეულისათვის 10 000 ლარის ანაზღაურების დაკისრების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეებმა სასამართლოს განჩინების თარიღები გააყალბეს და ზიანი მიაყენეს მოსარჩელის ინტერესებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 20 აგვისტოს განჩინებით მიიჩნია, რომ მ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ფაქტობრივად არის კერძო საჩივარი და იმსჯელა მის დასაშვებობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განჩინების გასაჩივრების ნაწილში, ასევე, ახალი სასარჩელო მოთხოვნის აღძვრის ნაწილში, რის შედეგად კერძო საჩივარი განუხილველად დატოვა 12-დღიანი ვადის გაშვების გამო, ხოლო სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარი უთხრა არაგანსჯადი სასამართლოსათვის მიმართვის მოტივით და განმარტა, რომ მხარეს შეეძლო სასარჩელო განცხადებით მიემართა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საერთო საფუძვლებზე.

საქმის მასალებში წარმოდგენილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 საპყრობილის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ინსპექტორისა და სხვა მუშაკთა მიერ შედგენილი 2008 წლის 3 სექტემბრის ოქმით ირკვევა, რომ მსჯავრდებულმა მ. კ-ძემ სასამართლო გზავნილის მიღებაზე უარი განაცხადა.

მ. კ-ძის მოთხოვნით იგივე სასამართლო გზავნილი მხარეს ჩაბარდა 2008 წლის 10 ოქტომბერს.

2008 წლის 13 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 20 აგვისტოს განჩინებაზე მ. კ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა და მისი კერძო საჩივარი ვადის გაშვების მოტივით უკანონოდ არ დააკმაყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-ძის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა

საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. დასახელებული ნორმის მიხედვით, კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია სასამართლო განჩინების გამოცხადებიდან ან იმ მომენტიდან 12 დღის ვადაში, როდესაც მხარეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა გასაჩივრებული განჩინების ასლი. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების ან აღდგენის შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებში არსებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 საპყრობილის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ინსპექტორისა და სხვა მუშაკთა მიერ შედგენილი 2008 წლის 3 სექტემბრის ოქმით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა მ. კ-ძემ სასამართლო გზავნილის მიღებაზე უარი განაცხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნ-დება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია, მიიღოს სასამართლოს მიერ მისთვის კანონით დადგენილი წესით გაგზავნილი სასამართლო უწყება თუ გზავნილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის უარი აღნიშნული საპროცესო დოკუმენტების მისთვის ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის 2008 წლის 20 აგვისტოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების 12-დღიანი ვადა უნდა აითვალოს 2008 წლის 3 სექ-ტემბრიდან, როდესაც მ. კ-ძემ უარი განაცხადა სააპელაციო სასამართლოს გზავნილის ჩაბარებაზე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. კ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 13 ოქტომბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ კერძო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა დაარღვია წარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. კ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-986-1186-08 17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ნ-ოვის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 აპრილს 8 აპრილს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. თ-შვილმა მოპასუხეების ა. გ-ოვისა და ნ. ნ-ოვის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით თ. თ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ნ. ნ-ოვს და ა. გ-ოვს თ. თ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 11 280 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-ოვის წარმომადგენელმა ა. ხ-შვილმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ნ. ნ-ოვის წარმომადგენლის ა. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ნ-ოვმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ნ-ოვს და მის წარმომაგენელს ა. ხ-შვილს გასაჩივრებული განჩინების ასლი გაეგზავნათ კანონით დადგენილ ვადაში და წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2008 წლის 25 სექტემბერს, კასატორს კი ამა წლის 27 სექტემბერს. აქედან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2008 წლის 7 ოქტომბერს. ნ. ნ-ოვმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, ანუ გაშვებულია გასაჩივრების 12 დღიანი საპროცესო ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და განუხილველად დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ნ-ოვის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1024-1218-08 28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. თ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. გ-ოვისა და ნ. ნ-ოვის მიმართ ზიანის სახით 15051 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ა. გ-ოვსა და ნ. ნ-ოვს თ. თ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 11280 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-ოვმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რაზეც კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ნ-ოვის წარმომადგენელმა ა. ხ-შვილმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ოვის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი ადგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა, კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ვადის შეცვლა არ დაიშვება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. ნ-ოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინება ჩაჰბარდა ამავე წლის 5 ნოემბერს. შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 17 ნოემბერს.

ასევე დადგენილია რომ ნ. ნ-ოვმა კერძო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 20 ნოემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნული ნ. ნ-ოვის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ნ-ოვის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1037-1229-08 9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ვ. მ-ანის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 31 ივნისს მარნეულის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მომართა ვარდან მ-ანმა მოპასუხეების: გ., ვ., ზ., ი. და ა. მ-ანების მიმართ სავალდებულო წილის მოთხოვნით. სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ანდერძიდან დადგინდა, რომ ქონება, რომლიდანაც მოსარჩელე ითხოვდა სავალდებულო წილის მიღებას, ანდერძით გადაეცა მის შვილიშვილს ა. მ-ანს. აღნიშნულის საფუძველზე მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არასათანადო მოპასუხეები: გ., ვ., ზ., ი. და ა. მ-ანები შეიცვალა სატანადო მოპასუხით ა. მ-ანით.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. მ-ანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-ანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ვ. მ-ანის სააპელაციო საჩივარი მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. მ-ანმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვ. მ-ანს გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაბარდა 2008 წლის 14 აგვისტოს. აქედან გამომდინარე განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2008 წლის 26 აგვისტოს, ხოლო მან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მიმდინარე წლის 18 ნოემბერს, რითაც დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, ანუ გაშვებულ იქნა გასაჩივრების 12 დღიანი საპროცესო ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და იგი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. მ-ანის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1138-1282-08 30 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, სამკვიდროდან წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჩ-იასა და ქ. ფოთის ნოტარიუს მ. გ-ნიას მიმართ სამკვიდროდან წილის გამოყოფის, სამკვიდრო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ნ-ვას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ნ-ვამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რაზეც კერძო საჩივარი შეიტანა მ. ნ-ვამ

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ნ-ვას კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის

შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი ადგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა, კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ვადის შეცვლა არ დაიშვება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება ჩაბარდა მ. ნ-ვას ოჯახის სრულწლოვან წევრს ლ. შ-იას ამავე წლის 3 დეკემბერს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, ნიშნავს მხარისათვის ჩაბარებას. შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 15 დეკემბერს.

ასევე დადგენილია, რომ მ. ნ-ვამ კერძო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 16 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნული მ. ნ-ვას კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ნ-ვას კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1138-1282-08 30 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, სამკვიდროდან წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჩ-იასა და ქ. ფოთის ნოტარიუს მ. გ-იას მიმართ სამკვიდროდან წილის გამოყოფის, სამკვიდრო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ნ-ვას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ნ-ვამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რაზეც კერძო საჩივარი შეიტანა მ. ნ-ვამ

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ნ-ვას კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს

მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი ადგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა, კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ვადის შეცვლა არ დაიშვება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება ჩაჰბარდა მ. ნ-ვას ოჯახის სრულწლოვან წევრს ლ. შ-იას ამავე წლის 3 დეკემბერს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, ნიშნავს მხარისათვის ჩაბარებას. შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 15 დეკემბერს.

ასევე დადგენილია რომ მ. ნ-ვამ კერძო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 16 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნული მ. ნ-ვას კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ნ-ვას კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. კერძო საჩივარზე ხარვეზის შევსება (შეუვსებლობა)

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-930-1236-07 17 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: ზარალის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. მ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ე-ძის მიმართ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და გ. ე-ძეს ბ. მ-ოვის სასარგებლოდ დაეკისრა 558 ლარის გადახდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა გ. ე-ძემ.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის განჩინებით საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, რაც გ. ე-ძემ გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა კერძო საჩივარი და გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის განჩინება და გ. ე-ძის საჩივარი ამავე სასამართლოს 2004 წლის 4 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ხელახლა განსახილ-ველად დაბრუნდა ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 10 ივნისის განჩინებით გ.ე-ძის საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და ამავე სასამართლოს 2004 წლის 23 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გ. ე-ძემ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქლაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს

2004 წლის 23 ივნისის განჩიენბა და გ. ე-ძის საჩივარი განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამრთლოს.

აღნინულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ბ. მ-ოვმა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 14 თებერვლის განჩინებით ბ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებით გ. ე-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ე-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარისა და დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. მითითებული განჩინებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გ. ე-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა გ. ე-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობა. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა კერძო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ კერძო საჩივარი აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, სასამართლო იღებს წარმოებაში კერძო საჩივარს.

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 ლარის ჩარიცხვის ქვითარისა და დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა 2007 წლის 20 დეკემბერს; კერძო საჩივრის ავტორს განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2007 წლის 22 დეკემბერს; კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 3 იანვრის ჩათვლით, მაგრამ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გ. ე-ძეს საკასაციო პალატისათვის არ წარმოუდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას; თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ე-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ე-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-551-1257-07 21 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 მარტს სარჩელით მიმართა ნ. დ-იამ შპს „ჰორიზონტის» მიმართ იჯარის ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მოპასუხისათვის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2005 წლის 5 ივლისს შპს „ჰორიზონტის» დირექტორ დ. ბ-ძესთან გააფორმა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვილისა და გამსახურდიას ქუჩების კვეთაში მდებარე 35 კვ.მ კაფე „პალმა» იჯარით აიღო. საიჯარო ქირა განისაზღვრა თვეში 200 ლარის ოდენობით. მოპასუხის მოთხოვნისამებრ, მოსარჩელემ წინასწარ გადაიხადა 6 თვის ქირა 900 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე, იჯარით აღებული ობიექტისათვის გაიღო კეთილმოწყობის ხარჯი, რამაც 2172 აშშ დოლარი შეადგინა. მოსარჩელის განმარტებით, შემდგომ გაირკვა, რომ შპს „ჰორიზონტის» დირექტორს არ ჰქონდა ობიექტის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო საბუთები, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რომლის ანაზღაურება შპს „ჰორიზონტის» დირექტორმა დ. ბ-ძემ ხელწერილით იკისრა. მიუხედავად აღნიშნულისა, ზიანი დღემდე არ არის ანაზღაურებული, ამიტომ მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება და მოპასუხისათვის 3572 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

შპს „ჰორიზონტის» დირექტორმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. დ-იას, ო. ბ-ძის, დ. ზ-ძისა და ზ. ზ-ძის მიმართ და განმარტა, რომ 2005 წლის ივნისში მას ზ. და დ. ზ-ძეებმა მიმართეს წინადადებით გადაეცა მათთვის იჯარით შპს „ჰორიზონტის» ბალანსზე რიცხული კაფე, რომელსაც ისინი აამუშავებდნენ და შესაბამის ქირას გადაიხდიდნენ. აღნიშნულ შეთავაზებას მოსარჩელე მოგვიანებით დასთანხმდა, წარუდგინა მოპასუხეებს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია და მოპასუხეების - ზ. ზ-ძისა და ო. ბ-ძის მოთხოვნისამებრ შპს „ჰორიზონტსა» და ნ. დ-იას შორის გააფორმა იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული იჯარის ობიექტის ფართის გაზრდა მიშენების ან დაშენების გზით. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელემ შეიტყო, რომ მოპასუხეები კაფეზე კაპიტალურ საჩრდილობელს აკეთებდნენ, რაზედაც მათ განუმარტეს დ. ზ-ძეს, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ ისინი მას მოშლიდნენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე მხარე შპს „ჰორიზონტის» დირექტორს - დ. ბ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ 1272 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, ნ. დ-იას უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უსაფუძვლობის გამო.

შპს „ჰორიზონტის» დირექტორის - დ. ბ-ძის შეგებებული სარჩელი ნ. დ-იას, დ. და ზ. ზ-ძეებისა და ო. ბ-ძის მიმართ თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება ნ. დ-იას სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ჰორიზონტის» დირექტორმა დ. ბ-ძემ და მისი გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა ამ განჩინების ჩაბა რებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენა. მითითებული განჩინებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შპს „ჰორიზონტის» კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა შპს „ჰორიზონტის» კერძო საჩივრის დასაშვებობა. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა კერძო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ კერძო საჩივარი აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, სასამართლო იღებს წარმოებაში კერძო საჩივარს.

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა 2007 წლის 24 დეკემბერს; კერძო საჩივრის ავტორს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდა 2007 წლის 31 დეკემბერს; კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 8 იანვრის ჩათვლით, მაგრამ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს „ჰორიზონტს» საკასაციო პალატისათვის არ წარმოუდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას; თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ჰორიზონტის» კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „ჰორიზონტის» კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-94-374-08 8 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პ. ს-ანის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

2007 წლის 25 ივნისს ს. ბ-ანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე პ. ს-ანის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და პ. ს-ანს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხად აღებული 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 200 ლარის (სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარისა და ადვოკატის მომსახურეობისათვის 100 ლარის) გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ს-ანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განჩინებით პ. ს-ანს ხარვეზის შესავსებად დაევალა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარ-მოდგენა. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში აპელანტმა ხარვეზი არ გამოასწორა, რის გამოც სააპელაციო პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით პ. ს-ანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა პ. ს-ანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ პ. ს-ანის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მითითებული ნორმის საფუძველზე, განჩინების გადაცემის მომენტად, საიდანაც იწყება მისი გასაჩივრების ვადის ათვლა, ითვლება ამ განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან კიდევ ამ განჩინების მხარისათვის გადაგზავნით სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორს გასაჩივრებული განჩინება ჩაჰბარდა 2007 წლის 18 დეკემბერს, ხოლო კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში 2008 წლის 16 იანვარს, ე.ი. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე, 419-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

პ. ს-ანის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დარჩეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-4-290-08 15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ს. მ-ანის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის საოქმო განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 21 იანვრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს და მის წარმომადგენელს მითითებულ მისამართებზე გაეგზავნათ დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო პალატის 2007 წლის 21 იანვრის განჩინება ს. მ-ანმა არ ჩაიბარა, ხოლო მისმა წარმომადგენელმა დ. ს-ვამ ჩაიბარა 2008 წლის 5 თებერვალს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არც კერძო საჩივრის ავტორმა და არც მისმა წარმომადგენელმა ხარვეზი არ გამოასწორეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ს. მ-ანის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-11-297-08 18 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა თ. გ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ თ. გ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით თ. გ-ძეს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდათ 2008 წლის 30 იანვარს, შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 4 თებერვალს. აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. გ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-1007-264-07 25 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ფ-ძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს «აჭარის ენერგოკომპანიის» მიმართ და მოითხოვა 2006 წლის 6 თებერვლის #69 ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება იმ მოტივით, რომ აღნიშნული ბრძანება მიაჩნია უკანონოდ, რომლითაც დაირღვა მისი შრომითი უფლებები. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხე ორგანიზაციაში მუშაობდა 1981 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე. გათავისუფლების დროისათვის მას ეკავა დისპეჩერიზაციის დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა. 2006 წლის 1 თებერვ-ლის #69 ბრძანებით მოპასუხე ორგანიზაციაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მოხდა დისპეჩერიზაციის დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის საშტატო ერთეულის შემცირება, რის გამოც მოსარჩელე განთავისუფლდა სამუშაოდან.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ფ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა შპს «აჭარის ენეგროკომპანიის» გენერალური დირექტორის 2006 წლის 6 თებერვლის #69 ბრძანება, მოპასუხე მხარეს დაევალა დ. ფ-ძის აღდგენა გენერალური დირექტორის მოადგილის დისპეტჩერიზაციის დარგში თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ბათუმის ფილიალის რეალიზაციის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე და მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «აჭარის ენერგოკომპანიამ» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით შპს «აჭარის ენერგოკომპანიის» სააპელაციო საჩივარი დარჩაA განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს «ენერგია XXI-ემ».

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით სს «ენერგია XXI-ს» დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტში 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. მითითებული განჩინებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით სს «ენერგია XXI-ს» დაევალა განჩინების ასლის Aჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. მითითებული განჩინებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა სს «ენერგია XXI-ს» 2008 წლის 23 იანვარს, განჩინების ასლი სს «ენერგია XXI-ს» ჩაჰბარდა 2008 წლის 28 იანვარს. კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 4 თებერვლის ჩათვლით, მაგრამ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სს «ენერგია XXI -ს» საკასაციო პალატისათვის არ წარმოუდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო

ავალებს საჩივრის შემტან პირს შევასოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-68-352-08 4 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 ივნისს გორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ი-შვილმა ა. უ-ძის მიმართ და მოითხოვა სესხის დაბრუნება.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 15 მაისს მან ა. უ-ძეს ასესხა 20 000 აშშ დოლარი, რომელიც მას უნდა დაებრუნებინა 2005 წლის 1 ნოემბრამდე. სესხის აღებისას მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სესხი დაეფარა თავის და თავისი ოჯახის წევრების სახელებზე რიცხული ქონების რეალიზაციის გზით და სესხის დაფარვამდე არ გაეყიდა აღნიშნული ქონება.

მოსარჩელის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ა. უ-ძეს ვალდებულება არ შეუსრულებია.

მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის სესხის - 20 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას და სესხის დაუბრუნებლობის გამო გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, ვადაგადაცილების მომენტიდან, ე.ი 2005 წლის 1 ნოემბრიდან მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში 2%-ის ოდენობით.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ა. უ-ძეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 20 000 აშშ დოლარის გადახდა და ვალის დაუბრუნებლობის გამო ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 2005 წლის 1 ნოემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში 2%-ის ოდენობით.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპალაციო წესით გაასაჩივრა ა. უ-ძემ, სადაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით ა. უ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე ა. უ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი. კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებით ა. უ-ძეს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტში ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ა. უ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ა. უ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობა. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებით ა. უ-ძეს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტში 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ა. უ-ძეს 2008 წლის 4 თებერვალს. განჩინების ასლი მას პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 11 თებერვალს. კერძო საჩივრის ავ-ტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 18 თებერვლის ჩათვლით. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით საკასაციო სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში მხარეს დაუდგინდა ხარვეზი, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს იგი არ გამოუსწორებია, რაც წარმოდგენილი კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. უ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-38-323-08 10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის დაცვის პოლიციის განყოფილებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „სსწ მცხეთის» მიმართ დავალიანების - 6941 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2001 წლის 1 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის დაცვის პოლიციამ ვალდებულება იკისრა, უზრუნველეყო შპს „სსწ მცხეთას» ტერიტორიაზე სადგომში გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთების დაცვა. აღნიშნულის სანაცვლოდ მოპასუხეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა გაწეული მომსახურების ღირებულება - 1190 ლარი. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც დაუგროვდა დავალიანება 6941 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ დასაბუთებით, რომ დაცვის პოლიცია ნაკისრ ვალდებულებას არაჯეროვნად ასრულებდა და ამით შპს «სსწ მცხეთას» მიაყენა მატერიალური ზიანი - 6000 ლარის ოდენობით და შეულახა საქმიანი რეპუტაცია, რისთვისაც უნდა დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 10000 ლარის ოდენობით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით როგორც ძირითადი, ისე, შეგებებული სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10 დღის ვადა სახელმწიფო ბაჟის - 277,60 ლარის გადასახდელად. ხარვეზის განჩინება მხარეს 2007 წლის 24 სექტემბერს ჩაჰბარდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის დაცვის პოლიციის განყოფილების წარმომადგენელ დავით ლომინაშვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაიბარა რა 2007 წლის 24 სექტემბერს, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის დაცვის პოლიციის განყოფილებამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად: გასაჩივრებული განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინება მხარეს ჩაბარდა ამავე წლის 24 სექტემბერს და ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ, ბაჟის გადასახდელად განესაზღვრა 10-დღიანი ვადა. 2007 წლის 1 ოქტომბერს #3308 საგადასახადო დავალებით აპელანტმა გადარიცხა სახელმწიფო ბაჟი 277,60 ლარის ოდენობით, რითაც ხარვეზი გამოასწორა.

უდავოა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებით აპელანტ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის დაცვის პოლიციის განყოფილებას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღეში სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2007 წლის 1 ოქტომბრის #3308 საგადასახადო დავალიანების თანახმად, აპელანტმა სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა 277,60 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის დაცვის პოლიციის განყოფილების კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას, სასამართლო თავისი განჩინებით ზუსტად განუსაზღვრავს აპელანტს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მოცემული ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებელია და აღნიშნულისათვის უდგენს გარკვეულ ვადას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინებით აპელანტს დაევალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო გადახდის ქვითრის სასამართლოში წარმოდგენის აუცილებლობის თაობაზე სასამართლოს არ მიუთითებია. აღნიშნული ვადა ამოიწურა 2007 წლის 5 ოქტომბერს. საქმის მასალებით წარმოდგენილი საგადასახადო დავალებით კი დასტურდება, რომ აპელანტმა შესაბამისი თანხა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში - 1 ოქტომბერს გადაიხადა, მაგრამ იგი სასამართლოში არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხარვეზის განჩინება არ შეიცავდა რა მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოში უნდა წარმოედგინა, უსაფუძვლოა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ მხარემ სასამართლოს მოთხოვნა დროულად არ შეასრულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის დაცვის პოლიციის განყოფილების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-75-358-08 13 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ქ-ძისა და გ. ა-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 7 თებერვლის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორებს საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 396-ე მუხლების შესაბამისად დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორებს მითითებულ მისამართებზე გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო პალატის 2007 წლის 7 თებერვლის განჩინება გ. ქ-ძესა და გ. ა-შვილს ჩაჰბარდათ 2008 წლის 28 თებერვალს, მაგრამ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორებმა ხარ-ვეზი არ გამოასწორეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ქ-ძისა და გ. ა-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-5-291-08 17 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ფ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-შვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წლის 6 ოქტომბერს მხარეთა შორის სანოტარო წესით დამოწმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მ. ხ-შვილმა მოსარჩელისაგან ერთი წლის ვადით უპროცენტოდ ისესხა 9100 აშშ დოლარი. მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, რის გამოც ძირითადი თანხის გარდა უნდა დაეკისროს 2005 წლის 7 ოქტომბრიდან საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიურად კანონით განსაზღვრული 2%-ის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა და საქმეში წარმოდგენილ გარიგებაზე არსებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით გ. ფ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა - მ. ხ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 9100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის - ძირითადი თანხის 2%-ის ეკვივალენტი ლარის გადახდა 2005 წლის 7 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც მ. ხ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა დრო სახელმწიფო ბაჟის - 626 აშშ დოლარის გადასახდელად. მ. ხ-შვილმა გადაიხადა მხოლოდ 600 ლარი, რის გამოც მას ხარვეზის შევსების ვადა 5 დღით გაუგრძელდა და დაევალა დარჩენილი თანხის გადახდა. ხარვეზის გაგრძელების შესახებ განჩინება მ. ხ-შვილს ჩაჰბარდა 2007 წლის 14 ნოემბერს, 20 ნოემბერს კი მხარემ წარადგინა 2007 წლის 19 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის ჩარიცხვის ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და მიიჩნია, რომ აპელანტმა ხარვეზი პალატის მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოასწორა, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სასამართლოში დროულად არ წარადგინა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ხ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: მ.ხ-შვილმა სახელმწიფო ბაჟი დროულად - 2007 წლის 19 ნოემბერს გადაიხადა, თუმცა სასამართლოში ქვითრის წარდგენა იმავე დღეს ვერ მოახერხა, რადგან არტერიული წნევის მომატების გამო შეუძლოდ გახდა. აღნიშნულ გარემოებას დაადასტურებენ მისი მეზობლებიც. ამასთან, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტის წარმომადგენელს არ ჩაჰბარებია, რის გამოც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნები.

უდავოა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო განყოფილების მიღება-ჩაბარების უწყების თანახმად, აპელანტს ხარვეზის განჩინება 2007 წლის 14 ნოემბერს ჩაბარდა. მ. ხ-შვილმა ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოს მიმართა ამავე წლის 20 ნოემბერს და წარდგინა 2007 წლის 19 ნოემბერს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ხ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას, სასამართლო თავისი განჩინებით ზუსტად განუსაზღვრავს აპელანტს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მოცემული ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებელია და აღნიშნულისათვის უდგენს გარკვეულ ვადას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინებით აპელანტ მ. ხ-შვილს დაევალა 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა. მითითებული ვადა ამოიწურა 2007 წლის 19 ნოემბერს. საქმის მასალებით წარმოდგენილი საბანკო ქვითრით დასტურდება, რომ აპელანტმა შესაბამისი თანხა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში - 19 ნოემბერს გადაიხადა, თუმცა იგი სასამართლოში არ წარუდგენია.

მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ხარვეზის განჩინება ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდას და ამავე ვადაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარდგენის ვალდებულებაზე არ მიუთითებდა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან ხარვეზის განჩინება არ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოედგინა, უსაფუძვლოა იმის მითითება, რომ მხარემ სასამართლოს მოთხოვნა დროულად არ შეასრულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ხ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-991-1292-07 17 მარტი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. კ-ძემ 2007 წლის 11 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის მიმართ და მოითხოვა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორის 2007 წლის 18 მაისის #35 ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1989 წლიდან 2007 წლის 18 მაისამდე მუშაობდა ხელვაჩაურის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორად, ხოლო აჭარის ა.რ.-ის მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის დადგენილებით განხორციელდა ხელვაჩაურის რაიონის კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, საბავშვო ბიბლიოთეკის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეორგანიზაცია და მათი გაერთიანების გზით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი. აღნიშნულის შემდგომ, ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორის 2007 წლის 18 მაისის #35 ბრძანებით, ვ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება გამოიცა აჭარის ა.რ.-ის მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის #12 დადგენილების საფუძველზე. მოსარჩელის მოსაზრებით, გასაჩივრებული ბრძანება გამოცემული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ვ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის, ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დაფუძნებისა და შტატების შემცირების გამო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ვ. კ-ძე აღდგენილი იქნა სამსახურში ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის სპეციალისტად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრს» დაევალა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსება, კერძოდ, ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინებით სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2007 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო ხარვეზის შევსებისათვის მიცემული 7-დღიანი ვადა ამოიწურა 2007 წლის 24 ოქტომბერს. სსიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ საფოსტო განყოფილებას ჩაბარდა 2007 წლის 25 ოქტომბერს, ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, რის გამოც სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივარით გაასაჩივრა სსიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც ხარვეზის შესავსებად მიეცა 7-დღიანი ვადა, მას გადაეცა 17 ოქტომბერს. სსიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტ-რის» მიერ ხარვეზის გამოსწორება მოხდა სწორედ აღნიშნულ ვადაში, კერძოდ, 2007 წლის 22 ოქტომბერს სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის» ბათუმის ფილიალში გადაიხადა 150 ლარი. აღნიშ-ნულს ადასტურებდა საგადასახადო დავალება #35, რომელზეც დატანილია თანხის მიმღები ბანკის შტამპი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არ დარღვეულა სასამართლოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დანიშნული ვადა, რადგან სააპელაციო სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, თუ რეალურად ხარვეზი როდის გამოსწორდა, ანუ როდის ჩაირიცხა თანხა საბანკო ანგარიშზე და არა იმაზე, თუ როდის ჩაჰბარდა ფოსტას სასამართლოსათვის გასაგზავნი წერილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინება, სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესოსამართლებრივი საფუძვლის არსებობის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინებით სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, აპელანტს დაევალა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე. ამავე სასამართლოს 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინებით სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით განუხილველად იქნა დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, ხარვეზის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად განსაზღვროს ის საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულების

შედეგად ხარვეზი შევსებულად ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, მართალია, სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრს» განესაზღვრა საპროცესო ვადა - განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღე ხარვეზის შესავსებად, მაგრამ იმავდროულად აპელანტს არ განემარტა აღნიშნულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება. 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილით მხარეს განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაევალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინება არ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ აპელანტს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში უნდა წარედგინა, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება არასწორად მიუთითებს იმაზე, რომ მხარემ სასამართლოს მოთხოვნა დროულად არ შეასრულა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინება და სსიპ «ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის» სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-188-453-08 21 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ის» გენერალური დირექტორის - ე. ლ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი სს «ენერგია XXI-ის» გენერალურ დირექტორ ე. ლ-ძეს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განჩინება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდათ 2008 წლის 13 მარტს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში სს «ენერგია XXI-ის» გენერალურმა დირექ-ტორმა ე. ლ-ძემ ბაჟი არ გადაიხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» გენერალური დირექტორის - ე. ლ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-190-455-08 31 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ს. ხ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდათ 2008 წლის 10 მარტს, შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 14 მარტს. აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-119-397-08 2 აპრილი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

შპს ტელერადიო კომპანია «რიონმა» 2007 წლის 19 ნოემბერს განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებელმა მოითხოვა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 თებერვლის #2/ბ-400-05 და 29 მაისის #2/ბ-603-06 სააღსრულებო ფურცლებში მითითებული მოვალის - სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» უფლებამონაცვლედ სს «ენერგია XXI-ის» ცნობა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

განმცხადებლის მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებითა და 2006 წლის 13 აპრილის განჩინებით სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» შპს ტელერადიო კომპანია «რიონის» სასარგებლოდ დაეკისრა - 3650 ლარისა და 8517 ლარის, სულ - 12167 ლარის გადახდა. სსიპ «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-3/736 ბრძანებით სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია» შეერწყა სხვა ენერგო-კომპანიებს და მათ ბაზაზე შეიქმნა სს «ენერგია XXI».

შპს ტელერადიო კომპანია «რიონმა» აღნიშნულ განცხადებას თან დაურთო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის ანალოგიური შინაარსის განცხადება იმავე მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შპს ტელერადიო კომპანია «რიონისა» და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის განცხადებები დაკმაყოფილდა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებასა და 2006 წლის 1 აპრილის განჩინებაში დასახელებული მოვალის - სს «გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს «ენერგია XXI» და სააღსრულებო ფურცელი გაიცა ამ უკანასკნელის მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» სააპელაციო საჩივარი და შპს ტელერადიო კომპანია «რიონის» შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს ტელერადიო კომპანია «რიონის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» შპს ტელერადიო კომპანია «რიონის» სასარგებლოდ დაეკისრა 3650 ლარის გადახდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2006 წლის 17 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოებაც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 13 აპრილის განჩინებით შპს ტელერადიო კომპანია «რიონის» განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდა: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი - «სხვა ნაწილში გადაწყ-ვეტილება დარჩეს უცვლელი» განიმარტა, როგორც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილის უცვლელად დატოვება, რომლითაც სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» შპს ტელერადიო კომპანია «რიონის» სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის - 8517 ლარის გადახდა. აღნიშნულ განჩინებაზე 2006 წლის 29 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-3/736 ბრძანებით შეიქმნა სს «ენერგია XXI,» რომელიც წარმოადგენს სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» უფლებამონაცვლეს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. სსიპ «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-3/736 ბრძანებისა და სამეწარმეო რეესტრის მონაცემების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სს «ენერგია XXI-ის» უფლებამონაცვლეობის ფაქტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს «ენერგია XXI-მ,» რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მხოლოდ მაშინაა უფლებამოსილი, დაადგინოს უფლებამონაცვლეობის საკითხი, თუკი უფლებამონაცვლეობის დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სსიპ «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებით დგინდება, რომ სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა» და რიგი ენერგეტიკული ობიექტების უფლებამონაცვლეს წარმოადგენს სს «ენერგია XXI.» აღნიშნულიდან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით განმცხადებელს პირველ რიგში უნდა მიემართა სს «ენერგია XXI-ის» ხელმძღვანელობისთვის და არა სასამართლოსათვის, რადგან უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანომ მის მიერ გამოცემული შესაბამისი დოკუმენტით ცალსახად დაადასტურა უფლებამონაცვლეობის საკითხი, რომელიც დამატებით მტკიცებას აღარ საჭიროებდა. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება განმცხადებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობოდა, თუ სს «ენერგია XXI» კანონიერ საფუძველზე მითითებით უარს განაცხადებდა უფლებამონაცვლეობის საკითხის დადასტურებაზე, რასაც ადგილი არ ჰქონია.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განმცხადებელს უფლებამოსილების დადგენის მოთხოვნით სს «ენერგია XXI-ის» ხელმძღვანელობისათვის არ მიუმართავს, რაც მას უშუალოდ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას არ აძლევდა. სასამართლოს უნდა დაედგინა, კანონის შესაბამისად მიმართა თუ არა განმცხადებელმა შესაბამის ორგანიზაციას, ხოლო თუ მიმართა, რა მოტივით უთხრეს უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მხოლოდ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით სს ენერგია XXI-ს» დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება სს «ენერგია XXI-ს» 2008 წლის 21 თებერვალს ჩაბარდა, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი უნდა შეევსო არაუგვიანეს 2008 წლის 28 თებერვლისა, რომელიც იყო სამუშაო დღე - ხუთშაბათი. მიუხედავად ამისა, კერძო საჩივრის ავტორს დღემდე არ შეუვსია საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი და არც საკასაციო სასამართლოსთვის მოუმართავს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 420-ე მუხლის თანახმად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-980-1281-07 2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. კ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. კ-ძემ 2007 წლის 22 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კ. ტ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის მიმართ არსებული დავალიანების ასანაზღაურებლად 6100 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ზ. კ-ძეს დაევალა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. განჩინებით მასვე განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

ზ. კ-ძემ სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარადგინა საპენსიო მოწმობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადადება ითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა გაუგრძელდა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღით, ხოლო ამავე სასამართლოს 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ზ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ზ. კ-ძეს დაევალა კერძო საჩივრის ხარვეზის შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

ზ. კ-ძემ კერძო საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა საპენსიო მოწმობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით ზ. კ-ძეს სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა გაუგრძელდა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით, მასვე განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივარი დატოვებულ იქნებოდა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება ზ. კ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 11 თებერვალს, ხოლო მის წარმომადგენელს - ე. ტ-ძეს 2008 წლის 10 თებერვალს. კერძო საჩივრის ავტორს მითითებული ხარვეზი არ შეუვსია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ზ. კ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინება, რომლითაც ზ. კ-ძეს გაუგრძელდა კერძო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადა, კერძო საჩივრის ავტორს ჩაბარდა 2008 წლის 11 თებერვალს, ხოლო მის წარმომადგენელ ე. ტ-ძეს - 2008 წლის 10 თებერვალს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დანიშნული ხუთდღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 11

თებერვალს. ამავე კოდექსის 61-ე მუხლიდან გამომდინარე, ვადა ამოიწურა 2008 წლის 15 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულ-დება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორმა გაუშვა კერძო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადა, რის გამოც კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველი უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. კ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე დატოვებულ იქნეს განუხილველად.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-73-357-08 7 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ის» წარმომადგენლის ლ. დ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებაზე, საქმეზე, შპს «რიცეულაჰესის» განცხადების გამო სს «ენერგია XXI-ის» მიმართ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანის შესახებ.

პალატამ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებით სს «ენერგია XXI-ის» წარმომადგენელს ლ. დ-შვილს ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა დადგენილი წესის მიხედვით. განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდ.

საქმეში არსებული საფოსტო განყოფილების ცნობის თანახმად, სასამართლო გზავნილი სს «ენერგია XXI-ის» წარმომადგენელ ლ. დ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 7 თებერვალს, თუმცა სასა-მართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის მიუმართავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» წარმომადგენლის - ლ. დ-შვილის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-169-437-08 7 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ბ-ვას კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გადკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განჩინებით ე. ბ-ვას კერძო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორსა და მის წარმომადგენელს მითითებულ მისამართებზე გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განჩინება ელანარა ბ-ვას წარმომადგენელ ზ. პ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 11 თებერვალს, ე. ბ-ვას კი - 2008 წლის 18 თებერვალს, ხოლო განცხადება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი კერძო საჩივრის ავტორმა ფოსტას ჩააბარა 2008 წლის 25 მარტს, ე.ი. სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისთვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე და 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ბ-ვის კერძო საჩივარი განუხილველად დარჩეს.

კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით საქართველოს სახელმწიფო ხაზინის (კოდი 220101222) საბიუჯეტო შემსავლების #300773150 სახაზინო კოდით ძველი თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 ანგარიშიდან.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-955-1261-07 17 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ი. ხ-ულის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

მ. მ-შვილმა 2007 წლის 9 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მაგისტრატ მოსამართლეს მოპასუხე ი. ხ-ულის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ მათი შვილის - ა. ხ-ულის ალიმენტის დაკისრება, თვეში 100 ლარის ოდენობით, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე და გასული ორი წლის საალიმენტო დავა-ლიანება 2400 ლარის ოდენობით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მაგისტრატი მოსამართლის 2007 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ი. ხ-ულს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ შვილის - ა. ხ-ულის (დაბადებული 2004 წლის 31 ოქტომბერს) ალიმენტი თვეში 70 ლარის ოდენობით ბავშვის სრულწლოვანებამდე. ალიმენტის გადახდის დაწყება დადგინდა 2007 წლის 9 ივლისიდან. გასული 2 წლის დავალიანების - 2400 ლარის ანაზღაურებაზე მ. მ-შვილს ეთქვა უარი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ი. ხ-ულმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისთვის ალიმენტის სახით დაკისრებული თანხის - თვეში 70 ლარის 10 ლარამდე შემცირება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ი. ხ-ულის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ხ-ულმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საპელაციო საჩივრის განსახილველად საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის განჩინებით ი. ხ-ულს დაევალა, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ი. ხ-ულს 2008 წლის 26 იანვარს ჩაჰბარდა, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი უნდა შეევსო არა უგვიანეს 2008 წლის 4 თებერვლისა, რომელიც იყო სამუშაო დღე - ორშაბათი. მიუხედავად ამისა, კერძო საჩივრის ავტორს დღემდე არ შეუვსია საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშ-ნული ხარვეზი და არც საკასაციო სასამართლოსთვის მიუმართავს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ხ-ულის კერძო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 420-ე მუხლის თანახმად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ხ-ულის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-254-513-08 18 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ღ-შვილის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 9 აგვისტოს ა. ღ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ი. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან საადვოკატო მომსახურების საფასურის - 650 ლარის უკან დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 24 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ღ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ი. კ-ძეს დაეკისრა 650 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 18.75 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. კ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ი. კ-ძის საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

ამავე სასამართლოს 2005 წლის 22 დეკემბრის საოქმო განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 24 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის განხილვა, მხარეთა თანხმობის საფუძვლზე, აღნიშნულ სხდომაზე გაგრძელდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ღ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 დეკემბრისა და 22 დეკემბრის განჩინებები და ამავე სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ღ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინებებისა და გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქალაქო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა ი. კ-ძის საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 31 მაისის განჩინებით ა. ღ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, 2005 წლის 5 დეკემბრისა და 2005 წლის 22 დეკემბრის განჩინებები დარჩა უცვლელი.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ღ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების, ამავე სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრისა და 22 დეკემბრის განჩინებების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 10 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილს დაევალა აღნიშული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 26 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად დასაბუთებულ საკასაციო საჩივრის წარმოდგენა.

ამავე სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

2006 წლის 18 აგვისტოს ა. ღ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ი. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების გაუფორმებლობის გამო მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის - 750 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ა. ღ-შვილის სარჩელი ი. კ-შვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში და ა. ღ-შვილს დაუბრუნდა მის მიერ 2006 წლის 21 აგვისტოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 18,75 ლარი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ღ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ა. ღ-შვილს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებაზე და დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

ამავე სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ა. ღ-შვილს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე და 10 დღით გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ა. ღ-შვილს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე და 10 დღით გაუგრძელდა კერძო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადა.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის განჩინებით ა. ღ-შვილის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა და კერძო საჩივრის ავტორს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა 2007 წლის 29 მარტამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 თებერვლის განჩინებით ა. ღ-შვილის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ 2007 წლის 8 იანვრის განჩინებით განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, მისი კერძო საჩივარი აღარ მიიღებოდა და დარჩებოდა განუ-ხილველი.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის განჩინებით ა. ღ-შვილის შუამდგომლობა ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის გაგრძელების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 იანვრის განჩინებით განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, მისი კერძო საჩივარი არ მიიღებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინებაზე განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

2007 წლის 25 აპრილს ა. ღ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და ამავე სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო განცხადების საქალაქო სასამართლოსათვის განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ივნისის განჩინებით ა. ღ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახ-ლების შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ღ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განსახილველად მისაღებად სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნება და ამ უკანასკნელის მეშვეობით პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების დავალება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილს 5 დღით გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და კერძო საჩივრის ავტორს გადაედო სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ივნისის განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ღ-შვილის განცხადების დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ა. ღ-შვილის განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და განცხადების ავტორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის გადახდა საქმის განხილვის დამთავრებამდე.

2007 წლის 22 ნოემბერს ა. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით ა. ღ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის სააპელაციო

სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ა. ღ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ღ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორმა ასევე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩინებით ა. ღ-შვილის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ა. ღ-შვილს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი კერძო საჩივრის წარმოდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებაზე. ასევე, 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 8 აპრილს ა. ღ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ მან სასამართლოს წარუდგინა არა კერძო საჩივარი, არამედ - საკასაციო საჩივარი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა განიხილოს კერძო საჩივარი, მას შეუძლია ასე მოიქცეს, მაგრამ კერძო საჩივართან ერთად განხილულ უნდა იქნეს მისი საკასაციო საჩივარიც. ა. ღ-შვილმა მიუთითა საქმეში არსებულ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს 2006 წლის 18 სექტემბრის #593 ცნობაზე, რომლითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ დღეისათვის არის უმუშევარი. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მას გადავადებული აქვს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო ამავე სასამართლოს 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით, გათავისუფლებულია გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), ხოლო, ვინაიდან მის მიერ არ არის წამოყენებული ასეთი პრეტენზია საპელაციო სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობასთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების შესახებ, ე.ი. იგი, როგორც კასატორი, თავად აღიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივ გარე-მოებებს და ცნობს მათ დამტკიცებულად, არ ასაჩივრებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სააპელაციო სასამართლოს მიერ მის გათავისუფლებას და მიუთითებს უტყუარ მტკიცებულებაზე - #593 ცნობაზე, რომელიც არის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. ამდენად, იგი თავისუფალია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან როგორც საკასაციო საჩივარზე, ისე კერძო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩი-ნებით ა. ღ-შვილის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ა. ღ-შვილს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი კერძო საჩივრის წარმოდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებაზე; ა. ღ-შვილს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა; ა. ღ-შვილს განემარტა, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, კერძო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი. აღნიშნული განჩინება ა. ღ-შვილს 2008 წლის 3 აპრილს ჩაჰბარდა. 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ა. ღ-შვილის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ღ-შვილის საკასაციო საჩივარი თავისი არსით წარმოადგენს კერძო საჩივარს. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2008 წლის 8 აპრილს წარმოდგენილ განცხადებაში კერძო საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების სხვა რომელიმე კონკრეტულ საფუძველზე და არც აღნიშნული შუამდგომლობის დამასაბუთებელი რაიმე ახალი მტკიცებულება წარმოუდგენია. მითითება საქმის მასალებში არსებულ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს 2006 წლის 18 სექტემბრის #593 ცნობაზე, ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან

სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებაზე მითითებად. აღნიშნული მტკიცებულება ნ. ღ-შვილის თავდაპირველ შუამდგომლობაზე საკასაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 24 მარტის განჩინებით მსჯელობის დროს უკვე იყო საქმის მასალებში და აღნიშნული განჩინება გამოტანილია საქმის მასალების ერთობლივი შეფასების, მათ შორის, მითითებული მტკიცებულების შეფასების საფუძველზე. სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების ან გადავადების საფუძვლად ვერ ჩაითვლება ვერც კერძო საჩივრის ავტორის მითითება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინებასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრისა და 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებებზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინებებით ა. ღ-შვილს სწორედ აღნიშნული განჩინებებით განხორციელებულ წარმოებაზე გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რაც ვერ გავრცელდება მოცემულ წარმოებაზე და ვერ ჩაითვლება წარმოდგენილ კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძვლად. აღნიშნულ საკითხზე ა. ღ-შვილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განჩინებაში უკვე განემარტა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში კერძო საჩივრის ხარვეზის სრულად შევსება - 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა, ვერ უზრუნველყო ვერც სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების და ბაჟის გადავადების შესახებ თავდაპირველად წარმოდგენილი შუამდგომლობის გამყარება სათანადო მტკიცებულებებით, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 420-ე მუხლის შესაბამისად, ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-321-576-08 5 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI»-ის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ს. ხ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდა 2008 წლის 21 აპრილს, შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 24 აპრილს. აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-327-582-08 13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ც. ქ-შვილის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ქ-შვილმა 2007 წლის 11 მაისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ც. ქ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხესთან ქორწინების შეწყვეტა.

2007 წლის 17 ივლისს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს შეგებებული სარჩელი წარუდგინა ც. ქ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების, კერძოდ: თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის, მიწის ნაკვეთისა და სასათბურე მეურნეობის, ქ. თბილისში, ... #42 ბინისა და სამი ავტომობილის გაყოფა და აღნიშნული ქონების 1/2-ის მისთვის მიკუთვნება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ქორწინება, რეგისტრირებული 1981 წლის 25 სექტემბერს ჯ-შვილის თემის საკრებულოს მიერ, ბ. ქ-შვილსა და ც. ქ-შვილს შორის, შეწყდა; თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ... მდებარე 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნახევარი - 500 კვ. მ მიეკუთვნა ც. ქ-შვილს, მასვე მიეკუთვნა ბ. ქ-შვილის სახელზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება «ფიატ-ტემპრა1.4-ის» საბაზრო ღირებულების ნახევარი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ც. ქ-შვილმა (წარმომადგენელი ო. ღ-ძე), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ბ. ქ-შვილთან ქორწინების პერიოდში შეძენილი საერთო ქონების, კერძოდ: თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ... მდებარე სახლის, სასათბურე მეურნეობის, საცხოვრებელი სახლისათვის განკუთვნილი სამშენებლო მასალისა და ქ. თბილისში, ... 42-ე ბინის 1/2-ის მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ც. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ც. ქ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივარს თან ერთვოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში კერძო საჩივრის ავტორის რეგისტრაციის მოწმობის ასლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განჩინებით ც. ქ-შვილს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მის მიერ საარსებო შემწეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ან 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 2 მაისს კერძო საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა წარმოადგინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ქ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განჩინების ასლი საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა როგორც კერძო საჩივრის ავტორს - ც. ქ-შვილს, ისე - მის წარმომადგენელ ო. ღ-ძეს. განჩინების გზავნილი ო. ღ-ძეს 2008 წლის 23 აპრილს ჩაჰბარდა, ხოლო ც. ქ-შვილს - 30 აპრილს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატ ო. ღ-ძეს ც. ქ-შვილის მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება როგორც ყველა ინსტანციის სასამართლოს აქტების გასაჩივრებაზე, ისე - დავალების შესასრულებლად საჭირო ხარჯების გადახდაზე, რწმუნებულება გაცემულია 2008 წლის 11 დეკემბრამდე და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის ვადამდე შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. ღ-ძისათვის საფოსტო გზავნილის ჩაბარება წარმოადგენს მხარისათვის ჩაბარებას, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განჩინებით ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის დინება დაიწყო ო. ღ-ძისათვის გზავნილის ჩაბარების მოდევნო დღეს - 2008 წლის 24 აპრილს და დასრულდა 30 აპრილს, რომელიც იყო სამუშაო დღე - ოთხშაბათი. ც. ქ-შვილმა საკასაციო სასამართლოს მომართა 2008 წლის 2 მაისს, ანუ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ხარვეზის შევსების განცხადება ვადაში შემოტანილადაც რომ ჩაითვალოს, რეალურად, ხარვეზი არ შევსებულა და კერძო საჩივარი მაინც განუხილველად დატოვებას ექვემდებარება. დასტურდება, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ც. ქ-შვილის ოჯახის რეგისტრაციის მოწმობის ასლი, რომელიც კერძო საჩივრის ავტორმა ხარვეზის შევსების მიზნით წარმოადგინა, კერძო საჩივარს თან ერთვის. საკასაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შესახებ 2008 წლის 14 აპრილის განჩინებაში მიეთითა, რომ აღნიშნული რეგისტრაციის მოწმობა ბაჟისაგან გასათავისუფლებლად საკმარისი არ იყო და რომ საჭირო იყო საარსებო შემწეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტი კვლავ ადასტურებს მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ფაქტს და არა საარსებო შემწეობის მიღების ფაქტს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც ც. ქ-შვილს კვლავ არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ც. ქ-შვილმა ვერ უზრუნველყო საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში კერძო საჩივრის დანიშნული ხარვეზის შევსება, რის გამოც კერძო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ც. ქ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-328-583-08 19 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 21 თებერვალს შპს «ვიქტორიას» დირექტორმა გ. ნ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს «საქართველოს რკინიგზის» მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა და მოპასუ-ხისათვის უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის 301 532 ლარის, დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 14 სექტემბერს შპს «ვიქტორიასა» და მოპასუხეს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალითაც საწარმომ გრაფიკის შესაბამისად შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» 2006 წლის 29 დეკემბრამდე 4 108 822 ლარის ღი-რებულების სალიანდაგო ზედნაშენი მასალის მიწოდების ვალდებულება იკისრა. ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობა საგარანტიო თანხის დაუბრუნებლობას იწვევდა. მოსარჩე-ლის განმარტებით, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ვითარების გამო, შპს «ვიქტორიას» პარტნიორმა მათთან ხელშეკრულება გაწყვიტა და ამ მიზეზით ვალდებულების შესრულება შეფერხდა. საქართველოს სავაჭრო პალატამ დაადასტურა, რომ მხარეთათვის აღნიშნული გარემოება ფორსმაჟორულად ითვლებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხემ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით წარდგენილი გარანტიის ნაწილი სს «გაერთიანებული ქართული ბანკიდან» გამოითხოვა, რაც უკანონო იყო, რადგანაც ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევდა საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული გარემოების შედეგი იყო. მოსარჩელის აზრით, შპს «საქართველოს რკინიგზა» უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «ვიქტორიას» სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «საქართველოს რკინიგზას» 301 532 ლარის, ასევე, სასამართლო ხარჯების გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს «საქართველოს რკინიგზამ» სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით აპელანტ შპს «საქართველოს რკინიგზას» ხარვეზი დაუდგინდა და 10 დღის ვადაში სა-ხელმწიფო ბაჟის - 7000 ლარის გადახდა დაევალა.

იმავე პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზის» სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეს ხარვეზის განჩინება 2008 წლის 12 თებერვალს ჩაჰბარდა და მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

2008 წლის 28 მარტს შპს «საქართველოს რკინიგზამ» საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას კერძო საჩივრით მიმართა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, შპს «საქართველოს რკინიგზამ» სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლამდე, 2008 წლის 15 თებერვალს გადაიხადა, გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით კი ხარვეზის შევსებად სწორედ ბაჟის გადახდა იყო მიჩნეული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საჩივარი განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელ თ. კ-ძის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2008 წლის 16 აპრილს შპს «ვიქტორიას» დირექტორმა გ. ნ-შვილმა კერძო საჩივარზე წერილობითი მოსაზრება წარმოადგინა და აღნიშნა, რომ მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგანაც შპს «საქართველოს რკინიგზას» სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სააპელაციო სასამართლოსათვის არ წარუდგენია. რაც შეეხება კერძო საჩივარზე დართულ #

326 ქვითარს, აღნიშნულით შპს «საქართველოს რკინიგზამ» სახელმწიფო ბაჟი პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილ სარჩელზე გადაიხადა და არა სააპელაციო საჩივარზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელმა თ. კ-ძემ წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა და აღნიშნა, რომ კერძო საჩივარზე თანდართულ 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს კავშირი არ ჰქონდა შპს «საქართველოს რკინიგზის» სარჩელთან. შპს «საქართველოს რკინიგზამ» თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს «ვიქტორიას» მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა, ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის 266 237 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და დავის საგნის ღირებულების 3%-ის - 7987,11 ლარის გადახდა დაევალა. შპს «საქართველოს რკინიგზამ» ხარვეზი დროულად გამოასწორა და 2007 წლის 10 ოქტომბერს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რის შემდეგაც, 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ შპს «საქართველოს რკინიგზის» სარჩელი წარმოებაში მიიღო. ამასთან, მხარე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობაა 5 000 ლარი, მას კი, კერძო საჩივარზე თანდართული ქვითრის მიხედვით, 7 000 ლარი აქვს გადახდილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელ თ. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სააკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ ხარვეზის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა განსაზღვროს ის საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულების შედეგადაც ხარვეზი შევსებულად ჩაითვლება. როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილიდან ირკვევა, შპს «საქართველოს რკინიგზას» განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაევალა, მართალია, აღნიშნული განჩინების სამოტივაციო ნაწილში არის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მხარემ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოს, მაგრამ, ვინაიდან კონკრეტული მოქმედების შესრულების ვალდებულებას გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი წარმოშობს, ხარვეზის შესავსებად აუცილებელი მოთხოვნის შესახებ სწორედ ამ ნაწილში უნდა იყოს აღნიშნული.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხარვეზის განჩინება მხარეს 2008 წლის 12 თებერვალს ჩაჰბარდა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე, სახელმწიფო ბაჟი 2008 წლის 15 თებერვალსაა გადახდილი.

ვინაიდან ხარვეზის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოედგინა, სააპელაციო სასამართლოს მტკიცება, დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შესახებ, უსაფუძვლოა.

რაც შეეხება შპს «ვიქტორიას» დირექტორის მტკიცებას, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სახელმწიფო ბაჟი შპს «საქართველოს რკინიგზის» სარჩელზე გადაიხადა და არა სააპელაციო საჩივარზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. კერძო საჩივარზე თანდართული ქვითარი ადასტურებს, რომ თანხა - 7 000 ლარი გადახდილია 2008 წლის 15 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იურიდიული პირებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. საპროცესო მოქმედების შესრულების დროს აღნიშნული ნორმა ძალაში იყო, ამდენად, შეუძლებელია მხარეს 2008 წლის 15 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე 7 000 ლარი გადაეხადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 419-ე, 420-ე მუხლებით, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელ თ. კ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინება და საქმე შპს «საქართველოს რკინიგზის» სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-335-588-08 27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. მ-შვილის კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

2006 წლის 8 დეკემბერს ლ. ძ-ურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - ნ. მ-შვილისა და შ. მ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დ. წყნეთში, ... ქ. #12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მის საკუთრებაში არსებული ნაწილის ყადაღისაგან გათავისუფლება და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული ქონების რეალიზაციის შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 დეკემბრის განჩინებით ლ. ძ-ურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2007 წლის 22 აგვისტოს ლ. ძ-ურმა დამატებითი სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - შ. მ-შვილისა და ნოტარიუსთა პალატის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისის მე-15 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუს ე. მ-შვილის მიერ 1981 წლის 3 თებერვალს გაცემული #1[a]-21 კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის (სამემკვიდრეო საქმე #17) ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ლ. ძ-ურს უარი ეთქვა დამატებითი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და დაუბრუნდა სასამართლოში შეტანილი საბუთები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დ. წყნეთში, ... ქ. #41[ა]-ში და არა #12-ში, როგორც ეს მითითებულია სარჩელში. ამავე სასამართლო სხდომაზე შ. მ-შვილმა სარჩელი ცნო, ხოლო ნ. მ-შვილმა მოითხოვა საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 300 ლარის მოსარჩელისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ძ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით ასევე არ დაკმაყოფილდა ნ. მ-შვილის მოთხოვნა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. მ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით ნ. მ-შვილს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში ოდენობით სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და კერძო საჩივრის ორი ასლის წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ნ. მ-შვილს 2008 წლის 5 მაისს ჩაჰბარდა, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი უნდა შეევსო არაუგვიანეს 2008 წლის 13 მაისისა, რომელიც იყო სამუშაო დღე - სამშაბათი. ნ. მ-შვილმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ხარვეზის შევსების განცხადებით მომართა 2008 წლის 14 მაისს, ანუ ხარვეზის შევსების 7-დღიანი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა დანიშნული ხარვეზი სრულად არ შეავსო, ვინაიდან ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებას თან დაურთო მხოლოდ საპენსიო მოწმობის ასლი, ხოლო კერძო საჩივრის ასლები მის მიერ წარმოდგნილი არ ყოფილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. მ-შვილის კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 399-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-368-618-08 27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ენგურმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» მიმართ ვალდებულებათა გაქვითვის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «ენგურის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ენგურმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «ენგურის» საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნა ახლი გადაწყვეტილება. შპს «ენგურის» სარჩელი დაკმაყოფილდა, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით 22000 ლარზე შეწყდა ვალდებულებითი ურთიერთობა, შპს «ენგურსა» და სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» შორის, სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» დაეკისრა 1540 ლარის გადახდა შპს «ენგურის» სასარგებლოდ, მის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე წარმოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

შპს «ენგურის» პრეზიდენტმა ზ. გ-იამ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ სს «ენერგია-XII» წარმოადგენს სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგო-კომპანიის» სამართალმემკვიდრეს და «სააღსრულებო წარმოების შესახებ» კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრი-ბუციო ენერგოკომპანიის» უფლებამონაცვლე სს «ენერგია-XII-ის» მიმართ.

შპს «ენგურის» პრეზიდენტმა განცხადებით ასევე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უწორობის გასწორება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებით შპს «ენგურის» პრეზიდენტ ზ. გ-იას განცხადება დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის - სს «საქართველოს გაერთიანებული სა-დისტრიბუციო ენერგოკომპანიის» უფლებამონაცვლე სს «ენერგის XII-ის» წინააღმდეგ, შესწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი და აღნიშნული ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - შპს «ენგურს» დაუბრუნდეს მის წარმომადგენელ პ. გ-იას მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით ზედმეტად გადახდილი 850 ლარი სახელმწიფო ხაზინიდან, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს «ენერგია XII-ის» დირექტორმა ე. ლ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასმართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინებით სს «ენერგია - XII-ის» კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ენერგია – XII-ის» კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასმართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინებით სს «ენერგია - XII-ის» კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარმოსადგენად.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების თანახმად, გზავნილი სს «ენერგია - XII-ეს» ჩაჰბარდა 5 მაისს. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის გამოსწორების ვადა ქონდა 12 მაისის ჩათვლით, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია - XII-ის» კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-390-639-08 27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ის» წარმომადგენლების - ლ. დ-შვილისა და კ. შ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული

განჩინების ასლი სს «ენერგია XXI-ს» მითითებულ მისამართზე გაეგზავნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2008 წლის 16 მაისს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არც სს «ენერგია XXI-მა» და არც მისმა წარმომადგენლებმა ხარვეზი არ გამოასწორეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» წარმომადგენლების - ლ. დ-შვილისა და კ. შ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-391-640-08 27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. წ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების - ნ. ო-ძისა და ს. ო-ძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. წულიკიძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. და ს. ო-ძეებს ნ. წ-ძის სასარგებლოდ დაეკისრათ 6580 აშშ დოლარისა და აღნიშნული თანხის 3%-ის 2736 აშშ დოლარის, ასევე, გაწეული ხარჯების - 1500 ლარისა და იურიდიული მომსახურების - 250 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და ს. ო-ძეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებით ნ. ო-ძისა და ს. ო-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. და ს. ო-ძეებმა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით ნ. ო-ძისა და ს. ო-ძის კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ო-ძისა და ს. ო-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით ნ. ო-ძისა და ს. ო-ძის კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარმოსადგენად.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების თანახმად, გზავნილი ადრესატებს ჩაჰბარდათ 7 მაისს. ამდენად კერძო საჩივრის ავტორებს ხარვეზის გამოსწორების ვადა ქონდათ 12

მაისის ჩათვლით. კერძო საჩივრის ავტორებს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებიათ და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ო-ძისა და ს. ო-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-116-394-08 2 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. მ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივლისის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 17 აპრილს ე. მ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

საკასაციო პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინებით ე. მ-შვილის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და კერძო საჩივრის ავტორს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა. აღნიშ-ნული განჩინების ასლი ე. მ-შვილს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის განჩინება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2008 წლის 15 მაისს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ე. მ-შვილმა ხარვეზი არ გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ე. მ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად დარჩეს.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-329-584-08 2 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. კ-ძის წარმომადგენლის ა. ბ-იას კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებაზე, საქმეზე - თ. კ-ძის სარჩელის გამო მოპასუხე ვ. გ-შვილის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით თ. კ-ძის წარმომადგენელ ა. ბ-იას განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში დაევალა 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის, ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა.

2008 წლის 6 მაისს კერძო საჩივრის ავტორმა ნაწილობრივ შეავსო ხარვეზი და საკასაციო პალატას წარმოუდგინა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 50 ლარის ჩარიცხვის ქვითარი და საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი. ამასთან, განცხადებით მოითხოვა სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის 20 დღით გაგრძელება, ვინაიდან სასამართლოს მიერ დათქმულ დროში ვერ შეძლებს დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით თ. კ-ძის წარმომადგენელ ა. ბ-იას გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო ვადა და დაევალა მას განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორსა და მის წარმომადგენელ ა. ბ-იას გაეგზავნა 2008 წლის 8 მაისს; კერძო საჩივრის ავტორს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 13 მაისს, ხოლო მის წარმომადგენელს 2008 წლის 10 მაისს; კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 20 მაისის ჩათვლით, მაგრამ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მას საკასაციო პალატისათვის არ წარმოუდგენია დასაბუთებული კერძო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 419-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. კ-ძის წარმომადგენლის ა. ბ-იას კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;
თ. კ-ძის წარმომადგენელ ა. ბ-იას დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-374-623-08 2 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. თ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების - ჯ., ნ. და მ. ს-იების, რ., მ. და შ. მ-ავების, ო. და ი. ჟ-ნიების, ზ. უ-ძე-ჟ-ნიას, რ. და ნ. თ-ძეების, მ. ა-ანის, ზ. მ-შვილის, დ. ჩ-იას, ა., თ., დ., მ. და ნ. ნ-უების მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლით: მხატვართა კავშირმა 1996 წლის 18 აპრილს #5673 სარეგისტრაციო მოწმობით მოსარჩელეს შემოქმედებითი სახელოსნოს მოსაწყობად გადასცა ქ. თბილისში, ... მე-3 მკ/რ-ში მდებარე «სავაჭრო ცენტრის» მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 150 კვ.მ, რომელსაც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ მოპასუხეები და ნებაყოფლობით არ ათავისუფლებენ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძვლით, რომ სადავო ფართი მათ დაიკავეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვით.

საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 ივლისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, ზ. მ-შვილის მიმართ, ხოლო 2007 წლის 29 ივლისის განჩინებით, დ. ჩ-იას, ა., თ., დ., მ. და ნ. ნ-ნუების მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. თ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით ზ. თ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორს არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე და დაევალა სახელმწიფო ბაჟის - 160 ლარის გადახდა. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს ჩაბარდა 2008 წლის 11 მარტს, ხოლო მის წარმომადგენელ ნ. ა-ძეს - 19 მარტს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60, 63-ე მუხლებით, 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და ჩათვალა, რომ ზ. თ-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და აპელანტის მიერ 2008 წლის 24 მარტს წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი უნდა დარჩეს განუხილველი, ვინაიდან ზ. თ-იას ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურა 2008 წლის 21 მარტს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ზ. თ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისას სასამართლომ მხარეს დაავალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 160 ლარის შესაბამის რეკვიზიტებზე გადახდა. აღნიშნული მოთხოვნა აპელანტმა შეასრულა და ხარვეზის განჩინების ჩაბარებიდან რამდენიმე დღეში - 2008 წლის 13 მარტს სახელმწიფო ბაჟი სრულად გადაიხადა. სხვა სახის მითითებას სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავდა. ამდენად, პალატამ არასწორად მიუთითა, რომ აპელანტს ხარვეზი დროულად არ შეუვსია.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ზ. თ-იას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10-დღიანია ვადა განჩინებაში მითითებულ რეკვიზიტებზე 160 ლარის გადასახდელად. აღნიშნული განჩინების ასლი ზ. თ-იას 2008 წლის 11 მარტს, ხოლო მის წარმომადგენელ ნ. ა-ძეს - 19 მარტს ჩაბარდათ.

2008 წლის 24 მარტს ზ. თ-იამ სასამართლოს წარუდგინა მის მიერ 2008 წლის 13 მარტს 160 ლარის საგადასახადო დავალება.

სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის შევსების ვადა აითვალა 2008 წლის 11 მარტიდან და ჩათვალა, რომ აპელანტმა ხარვეზი დროულად არ გამოასწორა, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. თ-იას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას, სასამართლო თავისი განჩინებით ზუსტად განუსაზღვრავს აპელანტს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მოცემული ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებელია და აღნიშნულისათვის უდგენს გარკვეულ ვადას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინებით აპელანტს დაევალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო გადახდის ქვითრის სასამართლოში წარმოდგენის აუცილებლობის თაობაზე სასამართლოს არ მიუთითებია. აღნიშნული ვადა ამოიწურა 2008 წლის 21 მარტს. საქმის მასალებით წარმოდგენილი საგადასახადო დავალებით კი დასტურდება, რომ აპელანტმა შესაბამისი თანხა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში - 13 მარტს გადაიხადა, მაგრამ იგი სასამართლოში არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხარვეზის განჩინება არ შეიცავდა რა მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოში უნდა წარმოედგინა, უსაფუძვლოა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ მხარემ სასამართლოს მოთხოვნა დროულად არ შეასრულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. თ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-406-652-08 16 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ხ., გ. გ-ძეების და რ. ე-ძის წარმომადგენლის რ. ფ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ხ., გ. გ-ძეების და რ. ე-ძის წარმომადგენლის რ. ფ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის, ხ. და გ. გ-ძეების მიერ რ. ფ-ძის სახელზე გაცემული მინდობილობის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი

კერძო საჩივრის ავტორებს და მათ წარმომადგენელს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდათ 2008 წლის 22 მაისს, შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 27 მაისს. აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორების მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ხ., გ. გ-ძეების და რ. ე-ძის წარმომადგენლის რ. ფ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-497-734-08 7 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ს/ს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ს/ს «ენერგია XXI-ის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაჰბარდა 2008 წლის 25 ივნისს, შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 30 ივნისს, მაგრამ აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-503-739-08 7 ივლისი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის განჩინებაზე

გამოარკვია:

2006 წლის 7 აგვისტოს ლ. გ-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ფორმა ტ #1-ის გაუქმება, მომხდარი უბედური შემთხვევის დადგომაში მოპასუხის ბრალეულობის დადასტურება და მისთვის ერთდროულად 10 წლის ხელფასის - 31190,40 ლარისა და ყოველთვიური სარჩოს სახით 129,96 ლარის დაკისრება.

მოსარჩელის მითითებით, მისი მეუღლე - თ. კ-ოვი 2006 წლის 30 მარტიდან მუშაობდა გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში, დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის ოზურგეთის მომსახურების ცენტრის გამრიცხველიანების სამუშაოთა ბრიგადის ბრიგადირად. 2006 წლის 12 აპრილს მაღლივი სამუშაოების წარმოებისას 6 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, მიიღო მძიმე დაზიანებები და ოზურგეთის სასწრაფო დახმარების სამსახურის მიერ გადაყვანილ იქნა ოზურგეთის რაიონულ საავადმყოფოში. ექიმებმა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელმა პირებმა მოსარჩელეს ხელი მოაწერინეს რაღაც ფურცლებზე და მისი მეუღლე გადაიყვანეს სახლში. მოგვიანებით მათ გაიგეს, რომ ხელი მოუწერიათ საბუთზე სტაციონალურ მკურნალობაზე უარის თქმის შესახებ. 2006 წლის 17 აპრილს ტრამვებისა და დაზიანებებისაგან მისი მეუღლე გარდაიცვალა. ფილიალის მიერ შედგენილ გამოკვლევის აქტში მითითებულია, რომ უბედური შემთხვევა გამოწვეული იყო თ. კ-ოვის გაუფრთხილებელი მოქმედებით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. გ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა: სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად 31190,40 ლარისა და უბედური შემთხვევის დღიდან ყოველთვიურად 129,96 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ,» რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და ლ. გ-ანს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ლ. გ-ანმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ლ. გ-ანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის განჩინებით სს «ენერგია XXI-ის» სააპელაციო საჩივარი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს «ენერგია XXI-მ,» რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით სს «ენერგია XXI-ს» დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინება სს «ენერგია XXI-ს» 2008 წლის 19 ივნისს ჩაჰბარდა. შესაბამისად,

კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი უნდა შეევსო არაუგვიანეს 2008 წლის 26 ივნისისა, რომელიც იყო სამუშაო დღე - ხუთშაბათი. მიუხედავად ამისა, კერძო საჩივრის ავტორს დღემდე არ შეუვსია საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი და არც საკასაციო სასამართლოსთვის მოუმართავს შუამდგომლობით ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ენერგია XXI-ს» კერძო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 420-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს «ენერგია XXI-ს» კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-366-616-08 9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: რეალური წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ი-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების - ს. ს-ძისა და ა. კ-შვილის მიმართ და მიუთითა, რომ მისი სასარჩელო განცხადება მემკვიდრედ ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა და იგი ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ. #60-ში მდებარე, ვ. ს-ძის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1\3-ის ნახევრის ანუ ნაწილის მემკვიდრედ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 ივლისს, ამოწერილ იქნა სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ მოპასუხე მხარე საცხოვრებელ ფართში არ უშვებს.

მოპასუხე ს. ს-ძემ შესაგებელი შეიტანა სასამართლოში.

მოპასუხემ მოითხოვა უარი ეთქვას ნ. ი-შვილის სასარჩელო მოთხოვნას მისი არასრულყოფილების გამო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს სასარჩელო განცხადებას სრულყოფილად გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, სპეციალური ცოდნის გარეშე გამოიყოს რეალური წილი და, ასევე, ის გარემოება, რომ ფართი, რომლის დასაკუთრებასაც ცდილობს მოსარჩელე, აშენებული და გარემონტებულია მის მიერ და დახარჯული თანხის ანაზღაურების გარეშე ვერ გადავა სადავო ფართი მის რეალურ მფლობელობაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ი-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩინებით აპელანტს მიეცა 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განჩინებით ნ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ი-შვილმა. მან მიუთითა, რომ იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, რის გამოც იგი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. ი-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს,

შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება.

სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 5 მარტის განჩინებით ნ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი მიიჩნია ხარვეზიანად იმის გამო, რომ სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ნ. ი-შვილს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა მხარისათვის განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნ. ი-შვილს განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 7 მარტს, მაგრამ აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, არ გადაიხადა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, მას ხარვეზი უნდა შეევსო განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, ე.ი. 2008 წლის 14 მარტის ჩათვლით. ვინაიდან ნ. ი-შვილმა ხარვეზი არ შეავსო, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ნ. ი-შვილის მითითებას იმის შესახებ, რომ იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ამიტომ იგი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, ნ. ი-შვილმა წარმოადგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, მაგრამ მასში მითითებული არ არის, რომ იგი იღებს საარსებო შემწეობას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. ი-შვილი არ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ი-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-472-713-08 14 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზ. კ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებაზე, საქმეზე, სს «პროკრედიტ ბანკის» სარჩელის გამო ზ. კ-ძისა და ზ. გ-იას მიმართ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით ზ. კ-ძეს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში დაევალა 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა 2008 წლის 12 ივნისს; კერძო საჩივრის ავტორს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდათ 2008 წლის 19 ივნისს; კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 24

ივნისის ჩათვლით, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. კ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-500-736-08 14 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. ს-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებაზე, საქმეზე, ვ. ს-შვილის სარჩელის გამო თ. ს-შვილის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განჩინებით ვ. ს-შვილს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში დაევალა 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორსა და მის წარმომადგენელ ლ. კ-ძეს გაეგზავნა 2008 წლის 24 ივნისს; ვ. ს-შვილსა და მის წარმომადგენელს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდათ 2008 წლის 26 ივნისს; კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 1 ივლისის ჩათვლით, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 419-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ს-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-577-804-08 18 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ი. ი-ან-ბ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა შეჩერდა, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვამდე.

საქმის ზეპირის განხილვის დროს, განმცხადებლის ადვოკატმა თ. მ-მა განმარტა, რომ 2004 წელში ნ. ვ-ძემ სარჩელის აღძვრისას პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხედ მიუთითა ი. ი-ან-ბ-ძე და შპს „ქართული ტრადიციები». მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელის წარმომადგენელი არ ყოფილა სასამართლოს მიერ მოწვეული სასამართლო სხდომაზე და არ დაკითხულა. მხოლოდ ერთხელ ორგანიზაციის ბუღალტერმა მისცა სასამართლოს ჩვენება მოწმის სახით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განჩინებაში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულია შპს „ქართული ტრადიციები», ხოლო ამავე სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებაში იგი ნახსენებიც არაა. აღნიშნულით დაირღვა ი. ი-ანი-ბ-ძის, როგორც მხარის, უფლება, რადგან სწორედ შპს „ქართული ტრადიციების» წარმომადგენლის ჩვენებით დასტურდებოდა ნ. ვ-ძის სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა. შესაბამისად, ითხოვს თავისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

ნ. ვ-ძის წარმომადგენელი არ დაეთანხმა განმცხადებლის მოთხოვნას იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ თავად განცხადებაში განმარტებულიც კი არ ყოფილა, თუ რის საფუძველზე ითხოვდა ი. ი-ან-ბ-ძე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობას. ამასთან, მისი მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი და გაურკვეველია, რატომ არ დააყენა მან მითითებული საკითხი პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების წინაშე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ი. ი-ან-ბ-ძის განცხადება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ი. ი-ან-ბ-ძემ და ჯ. ი-ანმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით ჯ. ი-ანის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად. ი. ი-ან-ბ-ძეს კი მიეცა 5-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ჯ. ი-ანმა და ი. ი-ან-ბ-ძემ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ჯ. ი-ანისა და ი. ი-ან-ბ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. მოცემულ შემთხვევაში ჯ. ი-ანის მიმართ განჩინება არ გამოტანილა და არ შეხებია მას აღნიშნული განჩინება. ჯ. ი-ანი არ არის უფლებამოსილი პირი კონკრეტულ საქმეზე, რომელსაც შეუძლია კერძო საჩივარი შეიტანოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით ჯ. ი-ანის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად. ი. ი-ან-ბ-ძეს კი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, მიეცა 5-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ჯ. ი-ანმა და ი. ი-ან-ბ-ძემ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

კონკრეტულ შემთხვევაში ი. ი-ან-ბ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს იმ განჩინებაზე, რომლითაც მას მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. ვინაიდან ხარვეზის განჩინება არ საჩივრდება, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ი-ან-ბ-ძის კერძო საჩივარი დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ი-ან-ბ-ძისა და ჯ. ი-ანის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-561-791-08 23 ივლისი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ღ-შვილის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების გასაჩივრების ნაწილში

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 14 აგვისტოს ა. ღ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს «თელასის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო ორი თვის კომპენსაციის ანაზღაურება.

2006 წლის 9 ოქტომბერს მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო სამი თვის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის სხდომაზე სს «თელასის» მიერ ა. ღ-შვილისთვის შრომის წიგნაკის გადაცემის შემდეგ მოსარჩელემ შრომის წიგნაკის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნაზე უარი განაცხადა, რის გამოც, აღნიშნულ ნაწილში საქმე საოქმო განჩინებით შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა. ღ-შვილის სარჩელი შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო სამი თვის საშუალო ხელფასის ანაზღაურების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ღ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის განჩინება დარჩა უცვლელი.

2007 წლის 19 აპრილს ა. ღ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ამავე სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ღ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივლისის განჩინება დარჩა უცვლელი.

2007 წლის 26 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ა. ღ-შვილმა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ა. ღ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; განიმარტა, რომ მოცემული განჩინების გასაჩივრება შეიძლებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში კერძო საჩივრის შეტანით მხარისათვის განჩინების გადაცემის დღიდან 12 დღის ვადაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებაზე ა. ღ-შვილმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 იანვრის განჩინების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-ქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებაზე; ა. ღ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებაზე საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად; ა. ღ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად; ა. ღ-შვილს განემარტა, რომ განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ საჩივრდებოდა, ხოლო განჩინებაზე განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში დაიშვებოდა კერძო საჩივრის წარდგენა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ღ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტის, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება დატოვებულ იქნა უცვლელად, გასაჩივრების ნაწილში დარჩა განუხილველი; ა. ღ-შვილს დაევალა კერძო საჩივრის ხარვეზის შევსება, კერძოდ: აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში კერძო საჩივრის 2 ეგზემპლარად წარმოდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების გასაჩივრების კონკრეტული საფუძვლების მითითებით. ა. ღ-შვილს ასევე დაევალა მითითებულ საპროცესო ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა; კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ, თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, კერძო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

2008 წლის 17 ივლისს ა. ღ-შვილმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ იგი თავისუფალია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების დროს სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის (არაქონებრივი დავის) მოთხოვნის ნაწილში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, პირი თავისუფალია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დროს. ამასთან, განმცხადებლის მოსაზრებით, კერძო საჩივრის ორ ეგზემპლარად წარმოდგენა მას არ ევალება, ვინაიდან კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხს საკასაციო სასამართლო იკვლევს არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 368.2 მუხლებით, როგორც ეს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაშია მითითებული, არამედ - ამავე კოდექსის 396-ე მუხლით, რომელიც არ შეიცავს მითითებას კერძო საჩივრის იმდენ ეგზემპლარად წარმოდგენის თაობაზე, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. განმცხადებელი ასევე მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების მთლიანად გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებისა და საქმეში არსებული მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების გასაჩივრების ნაწილში განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფალია «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინა-რეობს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ძირითადი დავის საგანს წარმოადგენს შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო 3 თვის კომპენსაციის ანაზღაურება, რაც არ განეკუთვნება ხელფასის გადახდევინების ან შრომის ანაზღაურების მოთხოვნას და ზემოხსენებული ნორმით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას არ ექვემდებარება. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ გარემოებაზე ა. ღ-შვილს ჯერ კიდევ ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებაში მიეთითა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ღ-შვილმა ვერ უზრუნველყო სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში განცხადების ხარვეზის შევსება - სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების გასაჩივრების კონკრეტული საფუძვლების შემცველი კერძო საჩივრის წარმოდგენა სათანადო ასლების დართვით, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 399-ე მუხლის, 368-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 420-ე მუხლის თანახმად, ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების გასაჩივრების ნაწილში განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული დაუშვებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების გასაჩივრების ნაწილში განუხილველად იქნეს დატოვებული დაუშვებლობის გამო;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-655-877-08 10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რ. ჯ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინებაზე, საქმეზე - დ. ბ-რის სარჩელის გამო რ. ჯ-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით რ. ჯ-ძეს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა 2008 წლის 31 ივლისს; რ. ჯ-ძეს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 5 აგვისტოს. კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით, მაგრამ როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ჯ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-660-882-08 10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. გ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის განჩინებაზე, საქმეზე - ლ. გ-ძის სარჩელის გამო რ. ბ-ძის მიმართ საერთო სარგებლობის ეზოში აშენებული ნაგებობის დემონტაჟის შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით ლ. გ-ძეს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორსა და მის წარმომადგენელ გ. გ-ძეს გაეგზავნა 2008 წლის 31 ივლისს; ლ. გ-ძეს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 15 აგვისტოს, ხოლო მის წარმომადგენელს 2008 წლის 5 აგვისტოს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. გ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-618-843-08 17 სექტემბერი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 მაისს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. ხ-ძემ, მოწინააღმდეგე მხარედ დაასახელა გ. ჭ-ძე, ი. პ-ძე, ე. ა-ანი, ვ. ა-ძე და განმარტა, რომ 2002 წლის 11 ოქტომბერს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ განიხილა მისი სააპელაციო საჩივარი, ქუთაისში ... ქუჩა #4-ში მდებარე მიწაზე მესაკუთრედ ცნობის, უკანონო მშენებლობის აღებისა და სასაზღვრო მიჯნის აღმართვის შესახებ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ შეიცვალა მოცემულ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 5 ნოემბრის მიღებული გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომელიც უზენაეს სასამართლოს 2003 წლის 16 მაისის განჩინებით დარჩა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში. განმცხადებელმა მოითხოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოება განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით ლ. ხ-ძის განცხადება, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ ლ. ხ-ძის განცხადება არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნებს; განცხადების შინაარსით არ ირკვეოდა კანონიერ ძალაში შესული გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი. ასევე არ იყო მითითება იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობდნენ, რომ დაცული იყო მისი შეტანის ვადა; განცხადებასთან ერთად არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

აღნიშნული ხარვეზის შესავსებად განმცხადებელს, 2008 წლის 23 მაისის განჩინებით განესაზღვრა ვადა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღე და განემარტა, რომ თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა განცხადება აღარ დაიშვებოდა.

ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი, განცხადების ავტორს - ლ. ხ-ძეს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდა 2008 წლის 2 ივნისს.

ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2008 წლის 10 ივნისს. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ხარვეზი ვადაში არ შეავსო სსკ-ის 427-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 429-ე მუხლის შესაბამისად, რაც განცხადების დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ხ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ უნდა ჩაებარებინა 2008 წლის 9 ივნისს, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო: ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, სოციალური მდგომარეობა, ადვოკატის გარეშე მუშაობა სააპელაციო სასამართლოს ჩააბარა ერთი დღის დაგვიანებით 2008 წლის 10 ივნისს. კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საპატიოდ ჩაეთვალოს ერთი დღის დაგვიანებით ხარვეზის განცხადების ჩაბარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით ლ. ხ-ძეს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად.

მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით ლ. ხ-ძის განცხადება დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი განცხადება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 429-ე მუხლის თანახმად, მხარის მიერ ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენს განცხადების განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ასაკის, ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობის გამო საპატიოდ უნდა ჩაეთვალოს მის მიერ სააპელაციო სასამართლოში ერთი დღის დაგვიანებით ხარვეზის შევსების თაობაზე განცხადების ჩაბარება, აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინება

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-686-907-08 30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ლ-ძემ 2004 წლის 22 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. თ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საჩხერეში, ... ჩიხის #6-ში მდებარე მოპასუხის საცხოვრებელი სახლისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნახევრის თავისთვის, ხოლო თბილისში, ... ქ. #147ა-ში მდებარე #48 ბინის შვილისთვის - ზ. თ-ძისათვის მიკუთვნება; გ. თ-ძის კუთვნილი სამგზავრო ავტობუსიდან ყოველთვიურად მიღებული შემოსავლის ნახევრის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დ. ლ-ძემ სარჩელის მოთხოვნა შეამცირა და მოითხოვა საჩხერეში, ... ჩიხის #6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ორ თანაბარწილად გაყოფა, აგრეთვე, თბილისში, … ქ. #147ა-ში მდებარე #48 ბინის ნახევრის თანამესაკუთრედ ცნობა და მოპასუხის კუთვნილი სამგზავრო ავტობუსიდან მიღებული შემოსავლის ნახევრის ანაზღაურება.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით, დ. ლ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოსარჩელე ცნობილ იქნა თბილისში, … ქ. #147ა-ში მდებარე #48 ბინის 1/2-ის თანამესაკუთრედ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ლ-ძემ, რომელმაც მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით დ. ლ-ძეს დაევალა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსება, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდა სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე, ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ვადა სასამართლომ აღნიშნული განჩინების ასლის აპელანტისათვის ჩაბარებიდან 7 დღით განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით, დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2007 წლის 9 ივნისს, ხოლო მის წარმომადგენელს - 2008 წლის 8 ივნისს. ამის მიუხედავად, სააპელაციო საჩივრის ხარვეზი არ შევსებულა. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინება კერძო საჩივარით გაასაჩივრა დ. ლ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, მის მიერ ხარვეზის შევსება სწორედ სასამართლოს განჩინებით დადგენილ ვადაში მოხდა. კერძოდ, 2008 წლის 13 ივნისს სააქციო საზოგადოება „სახალხო ბანკის» საჩხერის ფილიალში გადაიხადა 360 ლარი. აღნიშნულს ადასტურებს კერძო საჩივარზე დართული საგადასახადო დავალება #35, რომელზეც დატანილია თანხის მიმღები ბანკის შტამპი. ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი დ. ლ-ძეს სააპელაციო სასამართლოში დღემდე არ წარუდგენია, განპირობებული იყო მისი წარმომადგენლის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმით, რასაც შედეგად მოჰყვა აპელანტის მხრიდან ხარვეზის შესახებ განჩინებით დაკისრებული ვალდებულების არასწორად გაგება და ამ მიზეზით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

იმ პირობებში, როდესაც ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარდგენის ვალდებულებაზე, მხარის არაბრალეულობით ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობას სააპელაციო საჩივრის განუხილველობა არ უნდა გამოეწვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, აპელანტს დაევალა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე. ამავე სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით განუხილველად იქნა დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, ხარვეზის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად განსაზღვროს ის საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულების შედეგად ხარვეზი შევსებულად ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილით, მართალია, დ. ლ-ძეს განესაზღვრა საპროცესო ვადა - განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად, მაგრამ იმავდროულად აპელანტს არ განემარტა აღნიშნულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება. აღნიშნულის თაობაზე არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილი შეიცავდა მკაფიო მითითებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობად ვერ განიხილება. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე თანდართულია საგადასახადო დავალება, რომლის თანახმად, მას სახელმწიფო ბაჟი განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გადახდილი აქვს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინება და დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-829-1044-08 7 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ძ-უამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ-იას მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ძ-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მ. გ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4400 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-იას წარმომადგენელმა მ. ჭ-უამ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. გ-იას წარმომადგენელ მ. ჭ-უას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. გ-იას წარმომადგენელმა ხ. ხ-ანმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებით მ. გ-იას წარმომადგენლის ხ. ხ-ანის საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მ. გ-იამ და მისმა წარმომადგენლებმა: მ. ჭ-უამ და ხ. ხ-ანმა, რომლითაც მოითხოვეს ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. გ-იას და მისი წარმომადგენლების: მ. ჭ-უასა და ხ. ხ-ანის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. გ-იამ და მისმა წარმომადგენლებმა მ. ჭ-უამ და ხ. ხ-ანმა გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარინე გ-იასა და მის წარმომადგენლების: მ. ჭ-უას და ხ. ხ-ანის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 400-ე, 420-ე, 401-ე მუხლებით 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-იას და მისი წარმომადგენლების: მ. ჭ-უასა და ხ. ხ-ანის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შევსება

განჩინება

#ას-712-932-08 20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: საქმეზე წარმოების შეჩერება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 12 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ბ. ყ-შვილმა მოპასუხეების: გ., რ., გ., ლ., ნ. და გ. მ-შვილების, გ. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეების გამოსახლება თბილისში, ... მე-6ბ კორპუსში მდებარე #63 ბინიდან.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ზემოაღნიშნული ბინა შეიძინა 2002 წლის 28 მაისს გამართულ განმეორებით საჯარო აუქციონზე, რასაც ადასტურებდა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს 2005 წლის 31 მაისის განკარგულება #2/01-13, აგრეთვე, შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეები მის საკუთრებაში არსებულ ბინას არ ათავისუფ-ლებდნენ. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს საცხოვრებლად ვარგისი ფართი არსად გააჩნდა, სადავო ბინის მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით ბ. ყ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ... მასივის მესამე კვარტლის მე-6 კორპუსში მდებარე #63 ბინის მესაკუთრეს სწორედ მოსარჩელე წარმოადგენდა. მოპასუხეები სადავო ბინის ან მისი ნაწილის კეთილსინდისიერად ფლობის ფაქტს ვერ ადასტურებდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბ. ყ-შვილს, როგორც მე-საკუთრეს, სადავო ბინის მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის უფლებამოსილება გააჩნდა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, მისი სარჩელი დაკმაყოფი-ლებას ექვემდებარებოდა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს გ. კ-შვილმა, გ., რ., გ., ლ. და ნ. მ-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-მება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. იმავდროულად, აპელანტებმა ითხოვეს სააპელაციო საჩივარზე თანდართული წერილობითი მასალების საქმეზე დართვა, რომლებიც ასაბუთებდნენ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტს და ამ საფუძვლით მოცემული საქმის წარმოების შეჩერების მიზანშეწონილობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის სხდომაზე აპელანტებმა იშუამდგომლეს წერილობითი მტკიცებულებების საქმეზე დართვისა და საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. ამავე სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის საოქმო განჩინებით გ. კ-შვილის, გ., რ., გ., ლ. და ნ. მ-შვილების (წარმომადგენელი ნიკოლოზ ხუბუა) შუამდგომლობა წერილობითი მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი და დადგენილება დაზარალებულად ცნობის თაობაზე; იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2008

წლის 16 აპრილის #01/24 წერილი, აგრეთვე, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის სააღსრულებო ბიუროს 2002 წლის 15 მარტის #01-07 წერილი და კომერციული ბანკის სალაროს ამონაწერი 28/05/2002 ამოღებულ იქნა საქმიდან და დაუბრუნდა მათ წარმდგენს; შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აპელანტთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებიდან საქმეზე წარმოების შეჩერების საკითხის განხილვასთან მიმართებაში სასამართლომ არსებითი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი და დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ, რის გამოც შუამდგომლობა მხოლოდ დასახელებული მტკიცებულებების საქმეზე დართვის ნაწილში დააკმაყოფილა.

საქმეზე წარმოების შეჩერების მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა, რომ წინასწარ გამოძიებაში არსებული საქმე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში განსახილველი საქმე ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან გამომდინარეობდა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არც აღნიშნული მოტივით საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. კ-შვილმა, გ., რ., გ., ლ. და ნ. მ-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს მისი გაუქმება და აღნიშნულ ნაწილში მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორთა მტკიცებით, სადავო ბინის საჯარო აუქციონზე გასხვისების შედეგად უდავოდ იქნა დადგენილი აღნიშნული აუქციონის კანონის უხეში დარღვევით ჩატარების ფაქტი. სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, რა დროსაც კერძო საჩივრის ავტორები მიჩნეულ იქნენ დაზარალებულებად. სისხლის სამართლის საქმეზე ამჟამად მიმდინარე გამოძიება აუცილებელ კავშირშია განსახილველ საქმესთან, რამდენადაც გამოძიების შედეგად უძრავი ქონების უკანონოდ მითვისების ფაქტის დადგენის პირობებში თავისთავად გაუქმდება საჯარო რეესტრის ჩანაწერი ბ. ყ-შვილის მესაკუთრეობის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-შვილის, გ., რ., გ., ლ. და ნ. მ-შვილების კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრით გასაჩივრებულია სასამართლოს საოქმო განჩინება საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლი, რომელიც საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე სასამართლო განჩინების გასაჩივრების წესს ადგენს, საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შემთხვევაში კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონის აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძო საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარება არა ყველა, არამედ სასამართლოს მხოლოდ ის განჩინებები, რომელთა მსგავსი წესით გასაჩივრების უფლებას კანონმდებელი მხარეს ანიჭებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრებას არ ექვემდებარება, შესაბამისად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-შვილის, გ., რ., გ., ლ. და ნ. მ-შვილების კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის საოქმო განჩინებაზე დატოვებულ იქნეს განუხილველად;

2. გ. კ-შვილს, გ., რ., გ., ლ. და ნ. მ-შვილებს დაუბრუნდეთ გ. მ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი - 200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-658-880-08 22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ს-ვამ და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის: მ. და ა. ჯ-ძეებისათვის - 1844 აშშ დოლარისა და 3000 ლარის ოდენობით დაკისრება. ამავე სასამართლოს 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ს-ვას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელე ვ. ს-ვამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით ვ. ს-ვას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

დადგენილია, რომ 2008 წლის 3 აპრილის ხარვეზის განჩინებით აპელანტს, ვ. ს-ვას ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე. აღნიშნული განჩინება ვ. ს-ვას და მის წარმომადგენელს კ. ნ-ძეს გაეგზავნა არაერთგზის სააპელაციო საჩივარზე მითითებულ მისამართზე. საფოსტო გზავნილზე ფოსტის კურიერის მიერ გაკეთებული შენიშვნით ირკვევა, რომ ვ. ს-ვა აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს და დიდი ხანია, იმყოფება რუსეთში. დადგენილია, რომ ვ. ს-ვას წარმომადგენელ კ. ნ-ძეს ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდა 2008 წლის 12 მაისს.

სააპელაციო პალატა მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ს-ვას წარმომადგენელმა კ. ნ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ. ს-ვა ირიცხება სოციალურად დაუცველ ფენათა სიაში, საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტები. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მათ მიერ ვადაში გამოგზავნილ იქნა განცხადება ხარვეზთან დაკავშირებით, კერძოდ ხელზე გამოატანა სამარშრუტო ავტობუსის მძღოლს, რომელმაც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ ან არ მიიტანა სააპელაციო სასამართლოში, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ხარვეზი ჩაეთვალოს შევსებულად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებულ მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტს, ვ. ს-ვას ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე. აღნიშნული განჩინება ვ. ს-ვას და მის წარმომადგენელ კ. ნ-ძეს არაერთგზის გაეგზავნათ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე. საფოსტო გზავნილზე ფოსტის კურიერის მიერ გაკეთებული შენიშვნით ირკვევა, რომ ვ. ს-ვა აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს და დიდი ხანია იმყოფება რუსეთში.

ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება (იგულისხმება განჩინება) მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდა ერთ-ერთ მათგანს. წარმომდგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. საქმეზე დადგენილია, რომ ვ. ს-ვას წარმომადგენელ კ. ნ-ძეს 2008 წლის 12 მაისს ხარვეზის განჩინება ჩაბარდა კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად კი, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ განჩინებით დანიშნული ვადის დაცვით განცხადება ხარვეზთან დაკავშირებით ხელზე გამოატანა სამარშრუტო ავტობუსის მძღოლს, რომელმაც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ ან არ მიიტანა სააპელაციო სასამართლოში, მითითებულ გარემოებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს ისეთ საპატიო მიზეზად, რაც შეიძლება ჩაითვალოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ვ. ს-ვას წარმომადგენლის - კ. ნ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ს-ვას წარმომადგენლის კ. ნ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინება

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-829-1044-08 10 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ძ-უამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ-იას მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ძ-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მ. გ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4400 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. გ-იას წარმომადგენელ მ. ჭ-უას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. გ-იას წარმომადგენელმა ხ. ხ-ანმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებით საჩივარი დარჩა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით გასწორდა 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, «მ. გ-იას» ნაცვლად, მითითებულ იქნა «მ. გ-ია», რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. გ-იამ და მისმა წარმომადგენლებმა: მ. ჭ-უამ და ხ. ხ-ანმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მხარეს დაევალა მოცემული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში მ. ჭ-უას სახელზე გაცემული

რწმუნებულების, ხ. ხ-ანის ადვოკატის მოწმობის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი კერძო საჩივრისა და სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა.

საქმის მასალებში არსებული საფოსტო განყოფილების მიღება-ჩაბარების უწყების თანახმად, ხარვეზის დადგენის შესახებ სასამართლო განჩინების ასლი მ. გ-იას ჩაჰბარდა 2008 წლის 18 ოქტომბერს, მის წარმომადგენელ ხ. ხ-ანს კი 2008 წლის 23 ოქტომბერს.

მ. გ-იას წარმომადგენელმა ხ. ხ-ანმა, ზემოხსენებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, განცხადებით მიმართა სასამართლოს და წარმოადგინა კერძო საჩივარი, მისი ადვოკატის მოწმობის ასლი და 2007 წლის 27 ოქტომბერს სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდის ქვითარი. განცხადებაზე დართული კონვერტით დასტურდება, რომ აღნიშნული განცხადება მხარემ საფოსტო განყოფილებას ჩააბარა 2008 წლის 27 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა მ. გ-იასა და მის წარმომადგენელ ხ. ხ-ანის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო მხარეს დაუდგენს ვადას და განუსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. კერძო საჩივრის ავტორისათვის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინება მ. გ-იამ ჩაიბარა 2008 წლის 18 ოქტომბერს, ხოლო მისმა წარმომადგენელმა ხ. ხ-ანმა - 2008 წლის 23 ოქტომბერს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული ვადა უნდა აითვალოს მ. გ-იასათვის ხარვეზის განჩინების ჩაბარების მომენტიდან, ამდენად, მხარეს ხარვეზი უნდა გამოესწორებინა 2008 წლის 24 ოქტომბრამდე, რაც მას არ შეუსრულებია, ვინაიდან მ. გ-იას წარმომადგენელ ხ. ხ-ანის განცხადებაზე დართული კონვერტის თანახმად, აღნიშნული განცხადება მხარემ საფოსტო განყოფილებას ჩააბარა 2008 წლის 27 ოქტომბერს, ზემოხსენებული ვადის გასვლის შემდეგ. ამასთან, სახელმწიფო ბაჟის ქვითრითაც დასტურდება, რომ მხარემ ხარვეზის თანხა გადაიხადა 2008 წლის 27 ოქტომბერს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, მ. გ-იას უნდა დაუბრუნდეს ხ. ხ-ანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 401-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-იასა და მის წარმომადგენელ ხ. ხ-ანის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

მ. გ-იას დაუბრუნდეს ხ. ხ-ანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

განჩინება

#ას-906-1114-08 17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ღ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ა. ღ-შვილს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 31 ოქტომბერს ა. ღ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «თ» ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ა. ღ-შვილს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 5 დღით.

2008 წლის 11 ნოემბერს ა. ღ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

საკასაციო პალატა გაეცნო განცხადებას და მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება მოსარჩელე - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე.

მოცემულ შემთხვევაში ამ ტიპის საქმიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-831-1046-08 24 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ი. ლ-შვილის კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 8 დეკემბერს ახალციხის რაიონული სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ა. გ-შვილმა და ზ. ე-ვამ მოპასუხეების - კ. გ-ძისა და ი. ლ-შვილის მიმართ აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით სამოქალაქო საქმე ა. გ-შვილის სარჩელისა გამო კ. გ-ძის მიმართ აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ დარჩა განუხილველი მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სარჩელის უკან გამოთხოვის გამო, რასაც მოპასუხე დაეთანხმა.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. გ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა იმ მოტივით, რომ ადვოკატისთვის მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ მიუნიჭებია და, შესაბამისად, არც სარჩელის გამოხმობის უფლება ჰქონდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის განჩინებით ა. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინება მოპასუხე კ. გიორგიძის მიმართ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და ა. გ-შვილისა და ზ. ე-ვას სარჩელი სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ განსახილველად დაუბრუნდა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. ლ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ა. გ-შვილის კერძო საჩივარზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ი. ლ-შვილს დაევალა კერძო საჩივრის ხარვეზის შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა, კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების გარკვევით დასახელება (თარიღი), მითიტება მოტივისა, რომელთაც ეფუძნება კერძო საჩივარი და კერძო საჩივრის იმდენ ეგზემპლარად (2 ცალად) წარმოდგენა, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ლ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინება ი. ლ-შვილს 2008 წლის 20 ოქტომბერს ჩაჰბარდა. შესაბამისად, ხარვეზის შევსების 7-დღიანი საპროცესო ვადის დინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის საფუძველზე დაიწყო მომდევნო დღეს - 2008 წლის 21 ოქტომბერს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის მიხედვით, 2008 წლის 27 ოქტომბერს დასრულდა. დროის ამ მონაკვეთში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია და საკასაციო სასამართლოსთვის არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ლ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ლ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-912-1120-08 1 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ა. ღ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებაზე, საქმეზე - ა. ღ-შვილის სარჩელის გამო ი. კ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ა. ღ-შვილს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში დაევალა 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მას განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა.

2008 წლის 30 ოქტომბერს კერძო საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი შევსებულად ჩაეთვალოს იმ საფუძვლით, რომ იგი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ა. ღ-შვილს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა და დაევალა მას ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 10 ნოემბერს კერძო საჩივრის ავტორმა კვლავ მიმართა განცხადებით საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განთავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კერძო საჩივრის ავტორმა განცხადებაში აღნიშნა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომელიც არის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი განთავისუფლების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ა. ღ-შვილს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა და დაევალა მას ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

მოცემული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა 2008 წლის 17 ნოემბერს; ა. ღ-შვილს განჩინების ასლი პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 21 ნოემბერს; კერძო საჩივრის ავტორს შეეძლო განჩინებაში მითითებული ხარვეზი გამოესწორებინა 2008 წლის 24 ნოემბერის ჩათვლით, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-817-1032-08 8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრია

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. იოსელიანი-ბ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ი. ი-ანი-ბ-ძეს ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა დადგენილი წესის მიხედვით. განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა (69-ე-70-ე). განჩინების ასლი ადრესატს ჩაჰბარდა 2008 წლის 4 ოქტომბერს.

2008 წლის 16 ოქტომბერს კერძო საჩივრის ავტორმა საკასაციო პალატას წარმოუდგინა კერძო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ი. ი-ანი-ბ-ძეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა და დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში კანონის შესაბამისად შედგენილი დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა. განჩინების ასლი საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2008 წლის 25 ოქტომბერს.

2008 წლის 30 ოქტომბერს კერძო საჩივრის ავტორმა საკასაციო პალატას წარმოუდგინა კერძო საჩივარი, რომლითაც კვლავ მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ი. ი-ანი-ბ-ძეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა და დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში კანონის შესაბამისად შედგენილი დასაბუთებული კერძო საჩივრის წარმოდგენა. განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა. განჩინების ასლი საქმეში მითითებულ მისამართზე კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2008 წლის 10 ნოემბერს.

2008 წლის 18 ნოემბერს კერძო საჩივრის ავტორმა საკასაციო პალატას წარმოუდგინა კერძო საჩივარი, რომლითაც კვლავ მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ გამოასწორა, მას საკასაციო პალატისათვის არ წარმოუდგენია დასაბუთებული კერძო საჩივარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ი-ანი-ბ-ძის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-969-1170-08 17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ფ. გ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. ჯ-შვილის მიმართ და მოითხოვა დაზარალებულის გარდაცვალების გამო ზიანის - 18262 ლარის ანაზღაურება.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხეს დაეკისრა 15262 ლარის ფ. გ-ძის სასარგებლოდ ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ჯ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით ს. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. აღნიშნულ განჩინებაზე ს. ჯ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის განჩინებით ს.ჯ-შვილის კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან ხუთი დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა. კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ჯ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია განახორციელოს მასზე დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

დასახელებული კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო კერძო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. კერძო საჩივრის ავტორისათვის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში ს. ჯ-შილს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის განჩინებით განესაზღვრა რა ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მხარეს აღნიშნული ხარვეზი არ გამოუსწორებია და სასამართლოსათვის რაიმე შუამდგომლობით არ მიუმართავს. ამდენად, ზემოხსენებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 420-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ს. ჯ-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-1030-1223-08 22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და უძრავი ქონების მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ჭ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს ,,ახალი სამშენებლო ტექნოლოგიების» მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და უძრავი ქონების მიკუთვნების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ჭ-ძემ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. ჭ-ძის წარმომადგენელმა თ. მ-სხმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით რ. ჭ-ძის კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედნის, მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობისა და თ. მ-ხის ადვოკატის მოწმობის ასლის წარმოდგენა, რაც მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ განახორციელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ჭ-ძის წარმომადგენელ თ. მ-ხის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით რ. ჭ-ძის კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მხარეს მიეცა 5-დღიანი ვადა მის გამოსასწორებლად. დასახელებული განჩინება რ. ჭ-ძის წარმომადგენელ თ.მ-ხს ჩაბარდა 2008 წლის 9 დეკემბერს და ხარვეზის გამოსაწორების ვადა ამოიწურა 2008 წლის 14 დეკემბერს.

ასევე დადგენილია რომ თ. მ-მა საფოსტო განყოფილებას მიმართა 2008 წლის 15 დეკემბერს, ხარვეზის გამოსწორებისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი 5-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი

ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია განახორციელოს მასზე დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარვეზი გამოსწორებულად არ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული რ. ჭ-ძის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 63-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ჭ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი.

კერძო საჩივრის ავტორს დაუბრუნდეს თ. მ-ხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-1034-1227-08 26 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს კორპორაცია «გრეიტ მასტერ კომპანის» წარმომადგენელ ნ. ო-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი სს კორპორაცია «გრეიტ მასტერ კომპანის» წარმომადგენელ ნ. ო-შვილს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2008 წლის 15 დეკემბერს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში სს კორპორაცია «გრეიტ მასტერ კომპანის» წარმომადგენელმა ნ. ო-შვილმა ხარვეზი არ გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს კორპორაცია «გრეიტ მასტერ კომპანის» წარმომადგენელ ნ. ო-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.